სტუდენტთა საგრანტო კონკურსი

ტესტური კითხვებისა და დავალებების ნიმუშები
განმარტებებითა და ამოხსნით

თბილისი

2013

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი **5**

ტ ე ს ტ ი **7**

წაკითხულის გააზრება 10
ლოგიკური მსჯელობა 27
რაოდენობრივი მსჯელობა 35

პასუხები: **40**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი **41**

წაკითხულის გააზრება 42
ლოგიკური მსჯელობა 68
რაოდენობრივი მსჯელობა 81

შესავალი

გამოცდის ფორმატი

სტუდენტთა გრანტის გასაუმჯობესებელი გამოცდის ტესტი ერთიანია და მოიცავს შემდეგ სამ კომპონენტს:

1. წაკითხულის გააზრება - 21 დავალება;
2. ლოგიკური მსჯელობა - 14 დავალება;
3. რაოდენობრივი მსჯელობა - 7 დავალება.

შესაბამისად, ტესტის მაქსიმალური ქულაა 42.

გამოცდისათვის გამოყოფილი დრო 2 საათი და 30 წუთია. კონკურსანტს უფლება აქვს, თვითონ განსაზღვროს, ამ საერთო დროის რა ნაწილი დაუთმოს ცალკეულ კომპონენტთა დავალებების შესრულებას.

შეფასების სისტემა

სტუდენტთა გრანტის გასაუმჯობესებელი ტესტის თითოეული დავალება ფასდება 1 (სწორი პასუხი), 0 (პასუხი არ არის მონიშნული) ან -0,2 (არასწორი პასუხი) ქულით.

რეკომენდაცია

სტუდენტებს, რომელთაც სურვილი აქვთ, ჩააბარონ გრანტის გასაუმჯობესებელი გამოცდა, შეუძლიათ, კრებულში მათთვის საგანგებოდ წარმოდგენილ მასალასთან ერთად, სავარჯიშოდ გამოიყენონ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტური დავალებები წაკითხულის გააზრებაში, ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

დამატებითი ინფორმაცია გრანტის გასაუმჯობესებელი გამოცდის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://www.naec.ge

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია 2013 წლის სტუდენტთა გრანტის გასაუმჯობესებელი გამოცდის ტესტი პასუხებით. აქვე მოცემულია ტესტური დავალებების ამოხსნა და პასუხების დეტალური ანალიზი. მოცემულია, ასევე, რამდენიმე რჩევა. მკითხველისთვის, ვფიქრობთ, უმჯობესია, დამოუკიდებლად გასცეს პასუხი კრებულში მოცემულ დავალებებს და მხოლოდ ამის შემდეგ გაეცნოს მოყვანილ ამოხსნებსა და ანალიზს.

თესი

ტესტი სტუდენტების საგრანტო კონკურსისათვის

2013

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

ტესტი შედგება სამი ნაწილისგან:

I. წაკითხულის გააზრება (ორი ტექსტი, 21 დავალება),
II. ლოგიკური მსჯელობა (14 დავალება),
III. რაოდენობრივი მსჯელობა (7 დავალება).

ტესტის ყოველ დავალებას ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება ფასდება 1, 0 ან - 0,2 ქულით.

სწორი პასუხის გაცემისთვის იწერება 1 ქულა.
თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.
არასწორი პასუხისთვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება - 0,2 ქულა).

თქვენ დაგირიგდათ ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი.

ტესტურ დავალებათა რვეულში დატოვებული ცარიელი ადგილი შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი შეხედულებისამებრ. გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.



პასუხები უნდა მონიშნოთ პასუხების ფურცელში ისე, როგორც ეს შემდეგ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გეძლევათ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა. ამის შემდეგ შეგიძლიათ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მე-3 დავალებისთვის არის ნაჩვენები, ან დატოვოთ დანარჩენი უჯრები ცარიელი, როგორც ეს მე-4 დავალებისთვის არის ნაჩვენები (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით). პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.

ტესტის სამივე ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ <u>2 საათი და 30 წუთი</u>. ტესტის ნაწილების შესრულების თანამიმდევრობას არა აქვს მნიშვნელობა.

გისურვებთ წარმატებას !

წაკითხულის გააზრება

ტექსტი A

ნაწილი I

I ცნობილია, რომ ბიზანტიის განათლებისა და მწიგნობრულ წრეებში საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი მდიდარი კომენტარული ჟანრის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის საფუძველზე ჩამოყალიბდა სამეცნიერო ენა, რომელსაც შემდგომში იყენებდა სტილიზებული მხატვრული ლიტერატურაც. XI საუკუნის დამდეგისათვის ეს ბერძნული მწიგნობრული ენა უკვე საკმაოდ დაცილებული იყო სალაპარაკო ენას; შესაბამისად, იგი იქცა ხელოვნურ ენად, რომელზეც თვით სწავლულნიც კი აღარ ლაპარაკობდნენ.

II ხელოვნურად მიიჩნევა ზუსტი, სისტემურად დამუშავებული ფილოსოფიური ენა **პროკლე დიადოხოსისა**; მძიმე სტილად, ხელოვნურად გაზვიადებულ, „მოგონილ'' ენად მიიჩნევენ **დიონისე არეოპაგელის** ენას; ასეთივე რთულია **მაქსიმე აღმსარებლის** ენაც... გაწელილი თხზული სიტყვები, სინონიმური გამოთქმების ნაკადი, ლექსიკურ ახალწარმოებათა მოზღვავება, სპეციფიკური სიტყვაწარმოების სფეროს გაფართოება, მიმღეობური კონსტრუქციების, აღმატებითი ხარისხის ფორმების მოძალება... – ყოველივე ეს ახასიათებს ზემოხსენებულ სამეცნიერო ენას, რომლის კვალსაც გაჰყვა როგორც სტილიზებული მხატვრული ლიტერატურის, ისე ისტორიოგრაფიის ენაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ უკანასკნელის განვითარების საფუძველზე მოგვიანებით, შემდგომ საუკუნეებში, ყალიბდება საერთო სახალხო ენა – *დიმოტიკი*.

III თუ XI საუკუნემდელი ბიზანტიური ლიტერატურა, ზემოთ დამოწმებული ავტორების ნაშრომთა ჩათვლით, იყო ლიტერატურა კონსერვატიული ენისა, რომელშიც აქა-იქ თუ შეიჭრებოდა ზეპირმეტყველების ახალი გრამატიკული ფორმები, XI საუკუნის შუა ხანებიდან იწყება ბიზანტიური სამწერლობო ენის რეფორმა. ამ გარდატეხის პროცესის დამწყებად კი **მიქელ პსელოსს,** მანგანას ცნობილი აკადემიის ფილოსოფიის ფაკულტეტის იპატოსს, მიიჩნევენ. პსელოსი, ძირითადად, კლასიკურ ენაზე წერს და არ უგულებელყოფს კლასიკურ ნორმებსა და ტრადიციებს, თუმცა, მკვლევარნი სწორედ მის ენაში ხედავენ სისტემის დაშლის ნიშნებს: იგი ერთდროულად იყენებს არსებითი და ზედსართავი სახელების ძველსა და ახალ ფორმებს, ასევე, აღრეულია ზმნების უღლებაც. პსელოსი ცდილობს, თავი აარიდოს „ვულგარიზმებს'', მაგრამ მის მიერ შექმნილი სამეცნიერო ენა მაინც საგრძნობლად განიცდის სალაპარაკო ენის

ზეგავლენას. **ანა კომნენეც**, მიქელ პსელოსის მაგალითით შთაგონებული, მიუხედავად მისი განსაკუთრებული „პურიზმისა” [1] , ვერ აღწევს თავს ვულგარული (სალაპარაკო) ენის გავლენას და, კლასიკური ენის თვალსაზრისით, „შეცდომებს” უშვებს.

IV XI საუკუნის შუა ხანებიდან იქმნება პირველი ნიმუშები სალაპარაკო ენით დაწერილი პოეზიისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია **იოანე სკილიცეს** ენა და, ასევე, **თეოდორე პროდრომეს** შემოქმედება, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეიტანა სალაპარაკო ენის ფორმები „დიდ ლიტერატურაში”. ამ დროის ბიზანტიაში თანდათან ბატონდება ე.წ. „პოლიტიკური” (სამოქალაქო) ლექსი, თხუთმეტმარცვლოვანი ტაეპი, რომელსაც ფესვები ხალხურ პოეზიაში აქვს.

V გამომდინარე ამგვარი მაგალითებიდან, მკვლევართა აზრით, XI-XII საუკუნეთა ბიზანტიური ლიტერატურისათვის დამახასიათებელია ტრადიციული ესთეტიკის გადასინჯვა, ენის დემოკრატიზაცია, რაც რაციონალისტური ტენდენციების საზოგადო ზრდის მაჩვენებელია.

ნაწილი II

I XI საუკუნეში ქართული ხალხური, სალაპარაკო (**ეფრემ მცირის** ტერმინით – „სოფლური”) ენა იმდენად დასცილდა ძველი ქართული მწიგნობრული სკოლების მიერ გამომუშავებულ სალიტერატურო (ეფრემ მცირის მიხედვით, „წიგნურ”) ენას, ზეპირმეტყველებაში იმდენი სიახლე დაგროვდა ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროებში, რომ ტრადიციული მწიგნობრული ენა ვეღარ ასახავდა ქართული სალაპარაკო ენის განვითარების ამ საფეხურს. მას რეალური საყრდენი გამოცლილი ჰქონდა, რადგანაც ამ დროისათვის უკვე არსებობდა მთელი ჯაჭვი ენობრივი ცვლილებებისა, რომლებიც ენის მთელ სისტემას მოიცავდა. ამიტომ უკვე გარდაუვალი გახდა, მკაცრი ნორმების მქონე სამწერლობო ენაში გარდატეხა მომხდარიყო. ძველი სამწერლობო ენის ნორმების რღვევასთან ერთად, გზა გაეხსნა სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელ მოვლენებს, რომელთა კომპლექსური შემოჭრა სამწერლობო ენაში ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების დასაწყისს მოასწავებდა. ამ მხრივ პირველი ნაბიჯის გადადგმა წილად ხვდა XI საუკუნის დიდ ათონელ მოღვაწეს, **გიორგი მთაწმიდელს**.

[1] **პურიზმი** – [ფრანგ. purisme, ლათ. purus-იდან **წმინდა**] – ლინგვისტიკაში ნიშნავს ენაში უცხო სიტყვათა ჭარბად შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლას.

II მკვლევარი **აკაკი შანიძე** გიორგი მთაწმიდლის თხზულების, „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების", თავისებურებათა განხილვის შედეგად დაასკვნის, რომ „კლასიკური ქართულის ძეგლებზე აღზრდილი გიორგი მთაწმიდელი ცდილობს, ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-Xსს.) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ ახერხებს, თავი დააღწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან, ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებაში. ერთი სიტყვით, ძეგლიდან ჩანს, რომ ქართული სალიტერატურო ენა ახალ გზაზე შემდგარა."

III მომდევნო ხანის ქართველი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების, **ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის,** მოღვაწეობა ამ რაციონალისტური ტენდენციების გაღრმავებისა და განვითარების ნათელი მაგალითია. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მანგანას აკადემიის დარი გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლის როლი ქართული სალიტერატურო, ასევე, სამეცნიერო ენის განვითარების ისტორიაში. თავისთავადი „გელათური" ენობრივი სტილის თეორიული საფუძვლების გამომუშავება ამ სკოლის მოღვაწეთა სახელს უკავშირდება.

IV გელათში, ბიზანტიის კვალდაკვალ, ძველი ჟანრები ადგილს უთმობს მეცნიერულ-ფილოსოფიური ხასიათის ლიტერატურას, კომენტარების კრებულებს, მხატვრულ-ისტორიულ, სახოტბო პროზასა და პოეზიას, რომელიც იყენებს ახალ, თექვსმეტმარცვლოვან ხალხურ სალექსო საზომებს, ანუ „შაირს", ნაცვლად ძველი იამბიკოებისა. სისტემურად დამუშავებულ ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ენაში, რომელიც უდავოდ განიცდიდა ბერძნული ენის ზეგავლენას სინტაქსური კონსტრუქციებისა და სიტყვათშემოქმედების სფეროში, აშკარად ვლინდება „გახალხურების" ძლიერი ტენდენციები, განსაკუთრებით კი, დიალექტური ლექსიკისა და სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული ფორმების ერთობლივი მოზღვავება.

V გელათის სკოლის მწიგნობრებმა, მათთვის ტრადიციულად დამახასიათებელი ელინოფილური ტენდენციების მიუხედავად, თარგმანის თეორიასა თუ პრაქტიკაში კარი გაუხსნეს ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე ცვლილებებს და, საპირისპიროდ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული სკოლების შედარებით კონსერვატორული დამოკიდებულებისა (რაც ალბათ მათი იზოლაციით აიხსნება), შეუზღუდავად გაავრცელეს ისინი მწიგნობრულ ენაში. **შოთა რუსთაველის** დიდი ლიტერატურული ნაწარმოების, პოემა „ვეფხისტყაოსნის", ენა ამ პროცესების მკაფიო მაგალითია ქართული სამწერლობო ენის ისტორიაში.

შეკითხვებს 1 – 5 უპასუხეთ ტექსტის I ნაწილის მიხედვით:

1. ტექსტის ამ ნაწილიდან გამომდინარე, რა არის ავტორის <u>მთავარი</u> მიზანი?

(ა) დაახასიათოს ბიზანტიაში კომენტარული ჟანრის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის საფუძველზე შექმნილი სამეცნიერო ენა.

(ბ) დაასაბუთოს, რომ ბიზანტიურ მწიგნობრულ ენასა და ხალხურ, სალაპარაკო ენას შორის განსხვავება არსებითი იყო.

(გ) განიხილოს და შეადაროს ერთმანეთს XI საუკუნემდელი და XI საუკუნის შუა ხანების ბიზანტიური ლიტერატურის თავისებურებები.

(დ) აღწეროს და განმარტოს გარდატეხის პროცესის არსი XI საუკუნის ბიზანტიური სამწერლობო ენის განვითარების ისტორიაში.

(ე) წარმოაჩინოს და გაგვაცნოს XI საუკუნის ბიზანტიური ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის ავტორთა ენაზე სალაპარაკო ენის ზეგავლენის ფაქტები.

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული ტექსტის მიხედვით?

I. მე-11 საუკუნემდელ ბიზანტიაში კლასიკური სამწერლობო ენა თანდათან სცილდებოდა სალაპარაკო ენას.

II. ბიზანტიურ მხატვრულ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული სტილიზებული ენა შემდგომში კომენტარული ჟანრის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ლიტერატურაშიც გამოიყენეს.

III. ხელოვნურად მიჩნეული ბიზანტიური სამეცნიერო ენისათვის დამახასიათებელი იყო სინონიმური გამოთქმებისა და აღმატებითი ხარისხის ფორმების სიჭარბე.

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ III

(გ) მხოლოდ I და III

(დ) მხოლოდ II და III

(ე) I, II და III

3. ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს მართებულად ბიზანტიელი მოღვაწის, მიქელ პსელოსის ენის შეფასებას?

(ა) თავისებური სტილის გამო, მიქელ პსელოსის ენა ხასიათდება, როგორც ზუსტი, სისტემურად დამუშავებული ფილოსოფიური ენა.

(ბ) პსელოსი, თავისი თანამედროვეებისაგან განსხვავებით, თავს არიდებდა ვულგარული ენის ზეგავლენას და განსაკუთრებული პურიზმით გამოირჩეოდა.

(გ) მიქელ პსელოსის სტილი იმ კლასიკური სამეცნიერო ენის მყარი სისტემის ფარგლებში განისაზღვრება, რომელშიც იშვიათად თუ შეიჭრებოდა ახალი გრამატიკული ფორმა.

(დ) პსელოსის მიერ შექმნილი კომენტარული ჟანრის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის ენობრივ ფორმათა საფუძველზე შემდგომში საერთო სახალხო ენა ჩამოყალიბდა.

(ე) მიქელ პსელოსი კლასიკური სამწერლობო ენის ნორმებს იცავდა, მაგრამ ამავდროულად მის სამეცნიერო ენაში სალაპარაკო ენის სისტემის კვალიც შეინიშნება.

4. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რა <u>არ</u> ახასიათებს XI-XII საუკუნეთა ბიზანტიურ ლიტერატურას?

(ა) ტრადიციული ესთეტიკის კრიტიკულად გადასინჯვა.

(ბ) სპეციფიკური სიტყვაწარმოების სფეროს უფრო მეტად გაფართოება.

(გ) სამწერლობო ენის ნორმებში ცვლილებების დამკვიდრება.

(დ) სალაპარაკო ენისა და ხალხური პოეზიის ზეგავლენა.

(ე) სამოქალაქო ლექსის ჟანრისათვის დიდი უპირატესობის მინიჭება.

5. რა მიმართებაა ტექსტის ამ ნაწილის IV და V (ბოლო) აბზაცებს შორის?

ბოლო აბზაცში

(ა) განვრცობილია წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრება, რომ XI საუკუნის შუა ხანების ბიზანტიის კონსერვატიული მწიგნობრული ენა საკმაოდ დაცილებული იყო ამავე პერიოდის სალაპარაკო ენას.

(ბ) წარმოდგენილია წინა აბზაცში სალიტერატურო ენაზე სალაპარაკო ენის ზეგავლენის შესახებ გამოთქმული მოსაზრების დამადასტურებელი მნიშვნელოვანი არგუმენტები.

(გ) დაწვრილებით განხილულია წინა აბზაცში ზოგადად გამოთქმული თვალსაზრისი, რომ XI საუკუნის ბიზანტიურ პოეზიაში თავს იჩენს კლასიკური ენის დაშლის ნიშნები.

(დ) განზოგადებულია წინა აბზაცში ხალხური, სალაპარაკო ენის ფორმათა სალიტერატურო ენის სისტემაში მოქცევის დასადასტურებლად დამოწმებული ფაქტები და შეფასებულია მათი მნიშვნელობა.

(ე) არგუმენტებით დასაბუთებულია წინა აბზაცში გამოთქმული აზრი იოანე სკილიცესა და თეოდორე პროდრომეს შემოქმედებათა ენობრივი თავისებურებების შესახებ.

შეკითხვებს 6 – 10 უპასუხეთ ტექსტის II ნაწილის მიხედვით:

6. ტექსტის ამ ნაწილიდან გამომდინარე, რა არის ავტორის <u>მთავარი</u> მიზანი?

(ა) გაგვაცნოს გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლის მწიგნობართათვის დამახასიათებელი ტენდენციები.

(ბ) გამოკვეთოს არსებითი განსხვავება ძველი ქართული ლიტერატურული ენისა და ხალხური, სალაპარაკო ენის სისტემებს შორის.

(გ) განმარტოს, თუ რა შემთხვევაში ხდება გარდაუვალი გარდატეხის პროცესის დაწყება მკაცრი ნორმების მქონე სამწერლობო ენებში.

(დ) შეაფასოს ქართველი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების: გიორგი მთაწმიდლის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის ღვაწლი.

(ე) წარმოაჩინოს, თუ რა თვისებრივი განახლება იწყება XI საუკუნიდან ქართულ ტრადიციულ მწიგნობრულ ენაში და, შესაბამისად, მწერლობაშიც.

7. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრების გაზიარების საფუძველს გვიქმნის ტექსტი?

I. ზეპირმეტყველებაში ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროებში დაგროვილი ცვლილებები ტრადიციულმა მწიგნობრულმა ენამ, შესაძლოა, ვეღარ ასახოს და იგი მკვეთრად დასცილდეს სალაპარაკო ენის განვითარების საფეხურს.

II. სისტემურად დამუშავებულ ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ენაში აშკარად მჟღავნდება ბერძნული ენის ზეგავლენა სინტაქსური კონსტრუქციების აგებაში.

III. თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში ვერ აღწევს ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე ცვლილებები, რადგან ტრადიციულად ამ სფეროს კონსერვატიზმი ახასიათებს.

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ I და II
(დ) მხოლოდ I და III
(ე) I, II და III

8. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს სწორად მიმართებას ტექსტის ამ ნაწილის IV და V (ბოლო) აბზაცებს შორის?

ბოლო აბზაცში

(ა) გამყარებულია წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრება, რომ ენის „გახალხურების" ტენდენცია განსაკუთრებით ვლინდება დიალექტური ლექსიკის მოზღვავებაში.

(ბ) კრიტიკულად განხილულია წინა აბზაცში გამოთქმული თვალსაზრისი, რომ ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ენა ბერძნული ენის გავლენას განიცდიდა სიტყვათშემოქმედების სფეროში.

(გ) შეფასებულია წინა აბზაცში გამოვლენილი მთავარი ფაქტის – ბიზანტიის კვალდაკვალ, გელათში მეცნიერული ხასიათის ლიტერატურის, კომენტარების კრებულების შექმნის – მნიშვნელობა.

(დ) განვრცობილია წინა აბზაცში გამოხატული ძირითადი აზრი, რომ XI საუკუნიდან ქართულ მწიგნობრულ ენაში, პროზასა და პოეზიაში, აშკარად თავს იჩენს ენის დემოკრატიზაციის ტენდენცია.

(ე) მაგალითებით დასაბუთებულია წინა აბზაცში გადმოცემული თვალსაზრისი, რომ სახოტბო პოეზია, ძველი იამბიკოების ნაცვლად, ახალ სალექსო საზომებს, ანუ „შაირს" იყენებს.

9. ცნობილია, რომ ათონის მთის ქართველი მოღვაწე, გიორგი მთაწმიდელი, საქართველოში ორჯერ იმყოფებოდა და მეორედ, მეფის მოწვევით, მან აქ ოთხი წელი დაჰყო.

შეაჯერეთ ტექსტთან და განსაზღვრეთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვარაუდის წინაპირობა შეიძლება იყოს ეს ინფორმაცია?

I. რადგან გიორგი მთაწმიდელი, ძირითადად, საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობდა, მისი ნაშრომების ენაზე, კლასიკური ქართული ენის ძეგლების ნაცვლად, ბერძნულმა იქონია არსებითი ზეგავლენა.

II. გიორგი მთაწმიდელმა კლასიკური ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-Xსს.) ნორმებით წერა შეძლო იმიტომ, რომ მან საქართველოში ჩამოსვლის დროს ადგილობრივ სამონასტრო-მწიგნობრულ სკოლაში აითვისა ამ პერიოდის ენის სისტემა.

III. სალაპარაკო ენის მოვლენების უხვად შემოჭრას გიორგი მთაწმიდლის თხზულების კლასიკურ სამწერლობო ენაში ისიც იწვევს, რომ მას უშუალო შეხება ჰქონდა ცოცხალ მეტყველებასთან.

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ III
(დ) მხოლოდ I და III
(ე) მხოლოდ II და III

10. ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს მართებულად მკვლევარ აკაკი შანიძის მიერ გამოთქმულ შეფასებას?

(ა) გიორგი მთაწმიდლის თხზულების, „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების", თავისებურებათა განხილვის შედეგად დავასკვნით, რომ ავტორი კლასიკური ქართულისა და ბერძნულის ძეგლებზე აღიზარდა.

(ბ) კლასიკური ქართული ენის ძეგლებზე აღზრდილი გიორგი მთაწმიდელი ახერხებს, სრულყოფილად დაიცვას ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-Xსს.) ნორმები.

(გ) გიორგი მთაწმიდლის თხზულების ენაზე ცოცხალი ენის ზეგავლენა უმეტესად თავს იჩენს უფრო ფონეტიკურ საკითხებსა და სახელთა ბრუნებაში, ვიდრე ზმნების უღლებაში.

(დ) გიორგი მთაწმიდელი თავის თხზულებას ძველი სალიტერატურო ქართულის ბოლო პერიოდის ნორმების მიხედვით წერს, თუმცა მასში ასევე გამოყენებულია ცოცხალი ენისათვის დამახასიათებელი ფორმებიც.

(ე) გიორგი მთაწმიდლის ნაშრომთა შორის „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება" გამოირჩევა იმით, რომ სწორედ ამ თხზულებაში შეინიშნება ცოცხალი ენის ძლიერი ზეგავლენა.

შეკითხვებს 11 – 14 უპასუხეთ ტექსტის ორივე ნაწილის მიხედვით:

11. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს ტექსტის <u>ორივე</u> ნაწილის შეჯერებით?

(ა) XI საუკუნის ბიზანტიისა და საქართველოს მწიგნობრულ კერებში განვითარებული პროცესები კომპლექსური ცვლილებებით ხასიათდება, და, არსებითად, ერთიმეორის ანალოგიურია.

(ბ) XI საუკუნის ბიზანტიაში, საქართველოსაგან განსხვავებით, ძველი მწიგნობრული სკოლების მიერ გამომუშავებული ლიტერატურულ-სამეცნიერო ენა მკვეთრად დასცილდა ხალხურ ენას.

(გ) XI საუკუნის ბიზანტიის მწიგნობრულ ენაში განვითარებული პროცესები საქართველოში არსებულისაგან განსხვავდება იმით, რომ ბიზანტიურში ცვლილებები ფონეტიკის სფეროშიც გამოვლინდა.

(დ) გელათის სკოლის მწიგნობართა მკვეთრმა ელინოფილურმა ტენდენციებმა დიდი ხნით შეაფერხა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესი.

(ე) გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლის როლი სამეცნიერო ენის ჩამოყალიბებაში გაცილებით შედეგიანი იყო, ვიდრე – ბიზანტიელ მწიგნობართა მცდელობა.

12. ტექსტიდან გამომდინარე, ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს უფრო მართებულად ბიზანტიელი და ქართველი მოღვაწეების შედარებას, სალიტერატურო ენის ისტორიაში მათ მიერ შეტანილი წვლილის მსგავსების მიხედვით?

(ა) მიქელ პსელოსი – ეფრემ მცირესთან, ანა კომნენე – რუსთაველთან.

(ბ) იოანე სკილიცე და თეოდორე პროდრომე – გიორგი მთაწმიდელთან.

(გ) მიქელ პსელოსი და ანა კომნენე – გიორგი მთაწმიდელთან, პროკლე დიადოხოსი – ეფრემ მცირესთან.

(დ) ანა კომნენე – ეფრემ მცირესთან, მიქელ პსელოსი – რუსთაველთან.

(ე) მიქელ პსელოსი – გიორგი მთაწმიდელთან, თეოდორე პროდრომე – რუსთაველთან.

13. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ დასტურდება მთლიანი ტექსტის მიხედვით?

(ა) ბიზანტიური მანგანას აკადემიისა და გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელთა მოღვაწეობის შედეგებს შორის გარკვეული თანხვედრა იკვეთება.

(ბ) ჩვენამდე მოღწეულია ეფრემ მცირის ტერმინები, რომლებითაც ის აღწერს XI საუკუნის ქართულ ხალხურ ენასა და ძველი ქართული მწიგნობრული სკოლების მიერ გამომუშავებულ სალიტერატურო ენას.

(გ) თავისი სტილითა და სირთულით, დიონისე არეოპაგელის, ასევე, მაქსიმე აღმსარებლის ენას საქართველოში შესაძლებლია შევუდაროთ იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის თხზულებათა ენა.

(დ) ანა კომნენე, რომელიც მიქელ პსელოსის მიმდევარი იყო, თავს ვერ არიდებდა სალაპარაკო ენის ზეგავლენით კლასიკური ენის ნორმათა დარღვევას წერილობით ენაში.

(ე) ბიზანტიური ისტორიოგრაფიის ენა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის საფუძველზე უკვე ჩამოყალიბებული სამეცნიერო ენის სისტემას იყენებდა.

14. ჩამოთვლილთაგან რომელი თვალსაზრისია მართებული, მთლიანი ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით?

I. XI-XII საუკუნეების ბიზანტიასა და საქართველოშიც სალიტერატურო ენის „გახალხურების", ანუ ენის დემოკრატიზაციის პროცესი რაციონალისტური ტენდენციების საზოგადო ზრდაზე მიუთითებს.

II. ბიზანტიაში, საქართველოსაგან განსხვავებით, მწიგნობრული ენის რეფორმის წამოწყება და გატარება ფილოსოფოს-თეოლოგთა სახელებს უკავშირდება.

III. „გელათური" ენობრივი სტილის თეორიული საფუძვლები შემუშავებულია მანგანას ცნობილი აკადემიის მოღვაწეთა მიერ, იქ დადგენილი ნორმების მიხედვით.

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ II

(გ) მხოლოდ I და II

(დ) მხოლოდ I და III

(ე) მხოლოდ II და III

ტექსტი B

I დღეს ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ დემოკრატია თანამედროვე პოლიტიკური მმართველობის საუკეთესო ფორმაა. დემოკრატიები ნაკლებად არიან მიდრეკილნი საკუთარი მოქალაქეების უფლებების შელახვისაკენ; ისინი თითქმის არ ომობენ ერთმანეთთან და ეკონომიკურ განვითარებასაც სხვა სახის მმართველობებზე მეტად უწყობენ ხელს. დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური დისკუსიები მიმდინარეობს არა იმის თაობაზე, რამდენად უმჯობესია დემოკრატია სხვა სისტემებზე, არამედ იმის შესახებ, თუ როგორ მოვახერხოთ მისი პოპულარიზაცია და განვითარება.

II ამ მხრივ ხანგრძლივი დებატები მიმდინარეობდა ე. წ. „პრეკონდიციონისტებს“ (წინაპირობათა თეორიის მომხრეებს) და „უნივერსალისტებს“ შორის. პირველებს სჯერათ, რომ დემოკრატია, ზოგადად, პირობებისა და გამოცდილების გარკვეული თანხვედრის შედეგად წარმოიქმნება; მეორენი კი ამტკიცებენ, რომ დემოკრატია ყველა გარემოში შეიძლება განვითარდეს. 1950 და 1960-იან წლებში ამგვარ დებატებში პრეკონდიციონისტები დომინირებდნენ; ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ სხვადასხვა ეროვნულ წინაპირობასა და ისეთი ღრმა სტრუქტურული ფაქტორების მნიშვნელობაზე, როგორებიცაა: სოციო-ეკონომიკური განვითარების დონე; სოციო-ეკონომიკური თანასწორობის ხარისხი; მიწის საკუთრებისა ან სოფლის მეურნეობის წარმოების მოდელები; ცალკეული რწმენისა თუ კულტურული თავისებურებების დომინანტობა. მათი აზრით, იქ, სადაც ამ ფაქტორების გარკვეული კონფიგურაცია არსებობდა, მოსალოდნელი იყო დემოკრატიზაციის წარმატება; ხოლო იქ, სადაც ეს თანხვედრა არ ხდებოდა, დემოკრატიზაციის შესაძლებლობა ძალზე მცირე იყო. პრეკონდიციონისტების აზრით, პოლიტიკის შემოქმედებს მოეთხოვებოდათ გათვალისწინება და აღიარება იმ საკამათო, შეიძლება ტრაგიკული ფაქტისა, რომ მსოფლიოს უმეტეს ნაწილში დემოკრატიის განსავითარებლად და შესანარჩუნებლად პირობები არ არსებობს, ან, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სუსტადაა წარმოდგენილი.

III ამის საპირისპიროდ, უნივერსალისტები ამტკიცებდნენ, რომ დემოკრატია სხვადასხვა გზით და სხვადასხვა ვითარებაში შეიძლება წარმოიშვას და განვითარდეს. გლობალური დემოკრატიზაციის „მესამე ტალღამ“, რომელიც 1974 წელს დაიწყო, ძლიერი ბიძგი მისცა უნივერსალისტების ხედვას, ვინაიდან ავტორიტარული მმართველობიდან დემოკრატიულზე გადასვლა ათობით ქვეყანაში განხორციელდა, მათ შორის, ბევრ ისეთ ქვეყანაშიც, რომლებსაც პრეკონდიციონისტები მსგავსი ცვლილებისათვის მზად არ მიიჩნევდნენ. შედეგად, მეცნიერებამ წარმატებულ დემოკრატიასთან დაკავშირებულ სტრუქტურებს, როგორც აუცილებელ წინაპირობას, ნაკლები ყურადღება დაუთმო, ხოლო უშუალოდ დემოკრატიული ტრანზიციის პროცესს – მეტი.

IV დემოკრატიზაციის ამ ახლებურ ხედვას 11 სექტემბრის თავდასხმის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიის, როგორც საგარეო-პოლიტიკური საკითხის, წინ წამოწევა მოჰყვა. საგანგებოდ დემოკრატიის პოპულარიზაციის მიზნით და მის მხარდასაჭერად მრავალი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა. მიუხედავად იმისა, თუ რას ამბობდნენ პრეკონდიციონისტები, ახალი თაობის უნივერსალისტები ამტკიცებდნენ, რომ უმთავრესია „უმძიმესი პაციენტების" – მუსლიმური ახლო აღმოსავლეთის ავტორიტარული რეჟიმების – „განკურნება." ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ შეიძლებოდა, დემოკრატია აყვავებულიყო იქ, სადაც მანამდე არც კი არსებობდა. მათ სჯეროდათ „შოკური თერაპიისა" და „დიდი აფეთქების" მიდგომებისა – დემოკრატიზაციას წინ არაფერი დაუდგება, ავტორიტარულ რეჟიმებს გზიდან ჩამოაცილებენ, ამის შემდეგ კი დემოკრატიული სტრუქტურები და ინსტიტუტები სპონტანურად განვითარდება, რადგან ყველა ხალხი ესწრაფვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლად თავისი თავის მართვას.

V ამერიკის შეერთებული შტატების, კერძოდ, ბუშის ადმინისტრაციის ე.წ. პოსტ-თერთმეტისექტემბრისეული მიდგომა ერაყის ომით გამოიხატა. მაგრამ, რადგან ომის შემდგომ ერაყის დემოკრატიული ექსპერიმენტი შეფერხდა, ხოლო ლიბანსა და პალესტინაში ჩატარებულმა დემოკრატიულმა არჩევნებმა ხელისუფლების სათავეში ისეთი რადიკალი ისლამისტები მოიყვანა, როგორებიც ჰესბოლა და ჰამასია, ბუშის გუნდის მიდგომა, როგორც მიამიტი და დაუფიქრებელი, კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა. ამ ფაქტს შედეგად პრეკონდიციონიზმის ახალი ტალღა მოჰყვა. ისინი ამტკიცებენ, რომ დემოკრატიზაციისთვის განურჩევლად ხელის შეწყობა სასიკეთოს არაფერს მოიტანს, ვინაიდან არახელსაყრელ შემთხვევებში მისი შედეგი პროგრესი კი არ არის, არამედ არასტაბილურობა და არალიბერალიზმია. უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში ისინი ღიად უჭერენ მხარს ავტორიტარულ რეჟიმებს, რადგან სჯერათ, რომ ავტორიტარული რეჟიმები სუსტ დემოკრატიებზე მეტად შექმნიან წინაპირობას შემდგომში წარმატებული დემოკრატიზაციისათვის.

VI მთავარი გაკვეთილი, რასაც ეს ისტორია გვასწავლის, ის არის, რომ რეალობა მხოლოდ პრეკონდიციონისტებისა ან მხოლოდ უნივერსალისტების ხედვაში ვერ თავსდება: მართლაც, ყველა ტიპის ქვეყანას შეუძლია გაიაროს წარმატებული დემოკრატიული განვითარება, მაგრამ ეს პროცესი, ჩვეულებრივ, ძნელი და მტკივნეულია დემოკრატიის კუთხით თვით ყველაზე ხელსაყრელი კონფიგურაციის ქვეყნებისთვისაც კი. წარსულის მაგალითების გააზრება უმნიშვნელოვანესია საიმისოდ, რომ დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის ხელშეწყობის დღევანდელი დისკუსიები სათანადო ინტელექტუალურ და ისტორიულ კონტექსტში მოექცეს.

15. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს უფრო ზუსტად და მართებულად ავტორის <u>მთავარ</u> მიზანს?

(ა) გამოკვეთოს არსებითი განსხვავება დემოკრატიასა და ავტორიტარულ რეჟიმებს შორის და ახსნას, რამდენად სასურველია დემოკრატიზაცია.

(ბ) გაგვაცნოს ე.წ. პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების მიერ შემუშავებული იდეები დემოკრატიზაციის პროცესის პოპულარიზაციის შესახებ.

(გ) განიხილოს ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური დისკუსიები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხერხდეს დემოკრატიის განვითარება და შენარჩუნება.

(დ) წარმოაჩინოს და შეაფასოს ე.წ. პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების შეხედულებებს შორის განსხვავება ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.

(ე) დაახასიათოს დემოკრატია, როგორც მმართველობის ფორმა და გაგვაცნოს დემოკრატიზაციის პროცესის ახლებური ხედვა.

16. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება დასტურდება ტექსტში?

I. პრეკონდიციონისტების ან უნივერსალისტების თეორიული შეხედულებები, ცალკე აღებული, სრულად ვერ ასახავს დემოკრატიზაციის რთულ პროცესს.

II. დემოკრატიული ტრანზიციის პროცესი ის საკითხია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, გლობალური დემოკრატიზაციის „მესამე ტალღის“ შემდეგ.

III. დემოკრატიის წარმატებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სტრუქტურული ფაქტორის შესწავლა პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების საერთო მთავარი მეცნიერული ინტერესია.

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ I და II

(გ) მხოლოდ I და III

(დ) მხოლოდ II და III

(ე) I, II და III

17. რომელი <u>არ</u> არის მართებული ტექსტის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან?

(ა) პრეკონდიციონისტები დემოკრატიზაციის შესაძლებლობის განსაზღვრაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გარკვეულ წინაპირობებსა და გამოცდილებას.

(ბ) უნივერსალისტებს სწამთ, რომ ყველა ხალხი ესწრაფვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლად თავისი თავის მართვას.

(გ) მუსლიმური ახლო აღმოსავლეთის ავტორიტარული რეჟიმების შეცვლისა და დემოკრატიზაციის იდეას კრიტიკული შეფასებები მოჰყვა.

(დ) არასტაბილურობის საშიშროების გამო, ხშირად პრეკონდიციონისტები ავტორიტარულ რეჟიმებს სუსტ დემოკრატიებზე მეტად უჭერენ მხარს.

(ე) უნივერსალისტების აზრით, დემოკრატიის ტრანზიციისთვის განურჩევლად ხელის შეწყობა სასიკეთოს არაფერს მოიტანს.

18. რა მიმართებაა ტექსტის IV და V აბზაცებს შორის?

I. მეოთხე აბზაცში აღწერილია თეორიულ მოდელთა უშუალოდ პრაქტიკაში განხორციელების პროცესები, მეხუთე აბზაცში კი შეფასებულია მიღებული შედეგი.

II. მეოთხე აბზაცში წარმოდგენილია ახალი უნივერსალისტების პოზიცია, ხოლო მეხუთე აბზაცში გადმოცემულია თანამედროვე პრეკონდიციონის-ტებისეული საპირისპირო მოსაზრება.

III. მეოთხე აბზაცში წარმოდგენილია დემოკრატიული ტრანზიციის პროცესის სქემა (იდეა), რომლის შედეგიც კრიტიკულად შეფასებულია მეხუთე აბზაცში.

ამათგან მართებულია:

(ა) მხოლოდ I და II
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ I და III
(დ) მხოლოდ III
(ე) მხოლოდ II და III

19. ჩამოთვლილთაგან რომელშია მართებულად გადმოცემული საკუთრივ ავტორის ორიგინალური პოზიცია?

(ა) ავტორიტარული რეჟიმები დროთა განმავლობაში სუსტ დემოკრატიებზე უფრო მეტად ქმნიან წინაპირობას წარმატებული დემოკრატიზაციისათვის.

(ბ) დემოკრატიზაციის პროცესი თვით ყველაზე ხელსაყრელი წინაპირობების მქონე ქვეყნებისთვისაც კი ძნელი და მტკივნეულია.

(გ) დემოკრატიული მმართველობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ყველა სხვა წყობაზე უფრო მეტად უწყობს ხელს.

(დ) მსოფლიოს უმეტეს ნაწილში პირობები დემოკრატიის განვითარებისა და შენარჩუნებისათვის თითქმის არ არსებობს, ან მხოლოდ სუსტადაა წარმოდგენილი.

(ე) საგარეო-პოლიტიკური საკითხების მიმართ ბუშის ადმინისტრაციის პოსტ-თერთმეტისექტემბრისეული მიდგომა მიამიტური და დაუფიქრებელი აღმოჩნდა.

20. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ</u> ასახავს სწორად განსხვავებას პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების შეხედულებებს შორის?

(ა) უნივერსალისტებისაგან განსხვავებით, პრეკონდიციონისტებს შესაძლებლად მიაჩნიათ ქვეყანაში დემოკრატიული სტრუქტურებისა და ინსტიტუტების სპონტანურად განვითარება.

(ბ) უნივერსალისტებისაგან განსხვავებით, პრეკონდიციონისტები არ ფიქრობენ, რომ დემოკრატია ყველანაირ გარემოში შეიძლება განვითარდეს.

(გ) ავტორიტარულიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლა ბევრ ისეთ ქვეყანაში განხორციელდა, რომელსაც, უნივერსალისტებისაგან განსხვავებით, პრეკონდიციონისტები მსგავსი ცვლილებისათვის მზად არ მიიჩნევდნენ.

(დ) პრეკონდიციონისტები, უნივერსალისტებისაგან განსხვავებით, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების დონესა და თანასწორობის ხარისხს დემოკრატიზაციის მნიშვნელოვან წინაპირობებად მიიჩნევდნენ.

(ე) უნივერსალისტები, პრეკონდიციონისტებისაგან განსხვავებით, მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი მუსლიმური ახლო აღმოსავლეთის ავტორიტარული რეჟიმების „განკურნების" შესაძლებლობაში.

21. ტექსტის მიხედვით, 11 სექტემბრის თავდასხმამ, უპირველეს ყოვლისა,

(ა) ძლიერი ბიძგი მისცა პრეკონდიციონისტების ხედვას და მათი პოზიციის განმტკიცება განაპირობა.

(ბ) დაადასტურა ის ტრაგიკული რეალობა, რომ მსოფლიოს უმეტეს ნაწილში დემოკრატიის განსავითარებლად პირობები არ არსებობს.

(გ) დემოკრატია უფრო მნიშვნელოვან საგარეო-პოლიტიკურ საკითხად აქცია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

(დ) მთელ მსოფლიოში დემოკრატიული ექსპერიმენტების შეფერხება გამოიწვია.

(ე) ავტორიტარული რეჟიმების მიმართ ერთგვარი ლოიალური დამოკიდებულება განაპირობა.

ლოგიკური მსჯელობა

14 ამოცანა

ამოცანა 22.

მოცემულია:

- თუ საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზული არ არის არცერთი კანდიდატი ან შემოხაზულია ერთზე მეტი, მაშინ ბიულეტენი ბათილია.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოცემული წინადადების **ტოლფასი?**

(ა) თუ საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, მაშინ მასში ორზე მეტი კანდიდატია შემოხაზული.
(ბ) თუ საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, მაშინ მასში შემოხაზული არ არის არცერთი კანდიდატი ან შემოხაზულია ერთზე მეტი.
(გ) თუ საარჩევნო ბიულეტენი არ არის ბათილი, მაშინ მასში ზუსტად ერთი კანდიდატია შემოხაზული.
(დ) თუ საარჩევნო ბიულეტენში არ არის შემოხაზული ერთზე მეტი კანდიდატი, მაშინ ის არ არის ბათილი.
(ე) თუ საარჩევნო ბიულეტენი არ არის ბათილი, მაშინ ის ვარგისია.

ამოცანა 23.

მოცემულია:

(1) ყველა, ვინც A ქალაქის უნივერსიტეტში ასწავლის, ცნობილი მეცნიერია.
(2) ყველა ცნობილი მეცნიერი აქვეყნებს სტატიებს სამეცნიერო ჟურნალებში.
(3) ზოგიერთი მეცნიერი B ქალაქიდან ასწავლის A ქალაქის უნივერსიტეტში.
(4) არ არსებობს მეცნიერი, რომელიც სამეცნიერო ჟურნალში სტატიას აქვეყნებს და ინგლისური არ იცის.

ჩამოთვლილთაგან რომელი **გამომდინარეობს** მოცემული წინადადებებიდან?

(ა) ყველა მეცნიერმა A ქალაქიდან იცის ინგლისური.
(ბ) ყველა მეცნიერმა იცის ინგლისური.
(გ) არსებობს მეცნიერი B ქალაქიდან, რომელმაც იცის ინგლისური.
(დ) B ქალაქის ყველა მეცნიერმა იცის ინგლისური.
(ე) A ქალაქის ყველა მცხოვრებმა იცის ინგლისური.

ამოცანა 24.

ცნობილია, რომ რაც უფრო ნაკლებია ამა თუ იმ კულტურის მოსავალი და შესაბამისად, ნაკლებია მისი მიწოდება ბაზარზე, მით მეტია მისი ფასი. წელს ევროპაში საგრძნობლად მოიმატა ყავის ფასმა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ წელს ყავის მოსავალი საგრძნობლად შემცირებულია.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **შეასუსტებდა** ყველაზე მეტად ამ ვარაუდს?

(ა) საქონლის ფასზე გაცილებით უფრო მეტ გავლენას ახდენს მისი დეფიციტი ბაზარზე, ვიდრე ნებისმიერი სხვა ფაქტორი.
(ბ) შარშანდელთან შედარებით, წელს ევროს კურსი გამყარებულია.
(გ) ბოლო წლებში ხსნად ყავაზე მოთხოვნილება ევროპაში გაიზარდა.
(დ) ბოლო დროს ევროპული ქვეყნების უმრავლესობამ ექსპორტსა და იმპორტზე საბაჟო გადასახადები გაზარდა.
(ე) ბოლო დროს საინფორმაციო საშუალებებში გამოჩნდა ინფორმაცია ადამიანის ორგანიზმზე ყავის მავნე ზემოქმედების შესახებ.

ამოცანა 25.

მოცემულია ორი წინადადება:

(1) მეგობრებიდან – ნინო და გიორგი – ერთი მაინც იყო კინოში.
(2) მეგობრებიდან – გიორგი, ნინო და თეა – მინიმუმ ერთი <u>არ ყოფილა</u> კინოში.

თუ ამ ორი წინადადებიდან ერთი ჭეშმარიტია და ერთი – მცდარი, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი იქნება **აუცილებლად ჭეშმარიტი**?

(ა) ნინო და თეა ან ორივე იყო კინოში, ან არცერთი.
(ბ) თუ ნინო არ იყო კინოში, მაშინ თეა იყო კინოში.
(გ) თუ გიორგი არ იყო კინოში, მაშინ თეა იყო კინოში.
(დ) ტყუილია, რომ თეა იყო კინოში, ნინო და გიორგი კი – არა.
(ე) თუ ნინო იყო კინოში, მაშინ თეა და გიორგიც იყვნენ კინოში.

ამოცანა 26.

ანო და ვანო განიხილავენ შემდეგ მსჯელობას:

- თუ ყველა A არის B, და ყველა B არის C, მაშინ ყველა C არის A.

ანო: მსჯელობა მართებულია, რადგან, როგორც პირობიდან ჩანს, ყველა C არის B, ხოლო ყველა B არის A, და შესაბამისად, ყველა C არის A.

ვანო: მსჯელობა არ არის მართებული. აი მაგალითი: თუ A-ს ნაცვლად ჩავსვამთ სიტყვას „თბილისელი“, B-ს ნაცვლად – სიტყვას „ადამიანი“, ხოლო C-ს ნაცვლად – სიტყვას „მოკვდავი“, მაშინ ამ მსჯელობის დაშვებები ჭეშმარიტი იქნება, ხოლო დასკვნად მივიღებთ, რომ „ყველა მოკვდავი თბილისელია“, რაც არ შეესაბამება სიმართლეს.

ქვემოთ ჩამოთვლილი შეფასებებიდან **რომელია ყველაზე ზუსტი**?

(ა) ანო სწორია, რადგან ის ეყრდნობა ლოგიკური კავშირების საშუალებით გადაწყვეტილების მიღებას და არა რომელიმე კონკრეტული შემთხვევის ანალიზს.

(ბ) ვანო არ არის სწორი, რადგან ის ლოგიკურ წინადადებებს არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებს.

(გ) ანო არ არის სწორი. ვანოც არ არის სწორი, რადგან ერთი კონკრეტული მაგალითი არ იძლევა ზოგადი დასკვნის გამოტანის საშუალებას.

(დ) ვანო სწორია. ანო შეცდომას უშვებს მსჯელობისას.

(ე) ანო სწორია. ვანოს მსჯელობა არასწორია, რადგან „ყველა მოკვდავი თბილისელია“ არ შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას.

ამოცანა 27.

ტომს ბრალი ედება მკვლელობაში მონაწილეობაში. საბრალდებო საქმესთან დაკავშირებით დაკითხეს მრავალი მოწმე, მათ შორის – იმ მატარებლის გამცილებელი, სადაც მკვლელობა მოხდა, და იმავე მატარებლის მგზავრი – ჯეინი.

სასამართლომ ჭეშმარიტად მიიჩნია გამოძიების მიერ დადგენილი შემდეგი დასკვნები:

(1) თუ ტომი დამნაშავეა, მაშინ ჯეინის მიერ დაკითხვისას მიცემული ჩვენება სიცრუეა.
(2) თუ სილვია მკვლელობის დროს მატარებელში იყო, მაშინ მატარებლის გამცილებლის მიერ მიცემული ჩვენება სიმართლეა.
(3) ან ჯეინის ჩვენება არის სიმართლე, ან მატარებლის გამცილებელმა იცრუა ჩვენების მიცემისას.

ჩამოთვლილთაგან რომლის ჭეშმარიტების დამტკიცება მისცემს ადვოკატ სმიტს შესაძლებლობას, დაამტკიცოს ტომის უდანაშაულობა?

(ა) თუ მატარებლის გამცილებლის ჩვენება სიცრუეა, მაშინ სილვია მკვლელობის დროს მატარებელში არ ყოფილა.
(ბ) მატარებლის გამცილებლის ჩვენება სიცრუეა.
(გ) ჯეინის მიერ დაკითხვისას მიცემული ჩვენება სიცრუეა.
(დ) სილვია მკვლელობის დროს მატარებელში იმყოფებოდა.
(ე) სილვია მკვლელობის დროს მატარებელში არ იმყოფებოდა, ხოლო მატარებლის გამცილებლის ჩვენება სიცრუეა.

ამოცანები 28-31 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

კარნავალის დასკვნით დღეს სამბას 6 საუკეთესო სკოლის – A (*Academicos do Grande Rio*), S (*Salgueiro*), I (*Imperatriz Leopoldinense*), U (*Unidos da Tijuca*), B (*Beija-Flor*), V (*Vila Isabel*) – წარმომადგენლები ერთმანეთის მიმდევრობით გამოდიან საცეკვაოდ მაყურებლის წინაშე. თითოეული სკოლა ზუსტად ერთხელ უნდა გამოვიდეს საცეკვაოდ. ამასთან, დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

(1) სულ მცირე ორი სკოლა უნდა იყოს ისეთი, რომელიც საცეკვაოდ S-ის შემდეგ, მაგრამ I-მდე გამოვა.
(2) სულ მცირე ერთი სკოლა უნდა იყოს ისეთი, რომელიც საცეკვაოდ V-ს შემდეგ, მაგრამ A-მდე გამოვა.
(3) B პირველი, მესამე ან მეხუთე უნდა გამოვიდეს საცეკვაოდ.

ამოცანა 28.

თუ B საცეკვაოდ გამოვა უშუალოდ A-ს წინ, მაგრამ არა I-ს შემდეგ, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი სკოლა შეიძლება გამოვიდეს საცეკვაოდ მეოთხე?

(ა) A
(ბ) S
(გ) I
(დ) U
(ე) B

ამოცანა 29.

თუ S საცეკვაოდ გამოვა B-ს შემდეგ, მაგრამ უშუალოდ A-ს წინ, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი სკოლა გამოვა საცეკვაოდ მეხუთე?

(ა) A
(ბ) I
(გ) U
(დ) B
(ე) V

ამოცანა 30.

ჩამოთვლილთაგან რომელია **აუცილებლად ჭეშმარიტი**?

(ა) A საცეკვაოდ I-მდე უნდა გამოვიდეს
(ბ) B საცეკვაოდ I-მდე უნდა გამოვიდეს
(გ) V საცეკვაოდ S-მდე უნდა გამოვიდეს
(დ) S საცეკვაოდ V-მდე უნდა გამოვიდეს
(ე) S საცეკვაოდ A-მდე უნდა გამოვიდეს

ამოცანა 31.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს **მცდარი**?

(ა) თუ S საცეკვაოდ გამოვა მესამე, მაშინ U ბოლო ვერ იქნება.
(ბ) თუ A საცეკვაოდ მესამე გამოვა, მაშინ U მეოთხე იქნება.
(გ) თუ A მესამე გამოვა საცეკვაოდ, მაშინ S მეორე იქნება.
(დ) თუ B საცეკვაოდ V-მდე გამოვა, მაშინ I ბოლო იქნება.
(ე) თუ I საცეკვაოდ მეოთხე გამოვა, მაშინ V გამოვა B-მდე.

ამოცანები 32-35 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

სასკოლო ოლიმპიადა ტარდება ექვს საგანში 8 სესიად. აქედან ხუთი სესია ეთმობა თეორიულ ტურებს **მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში**, ხოლო სამი სესია – პრაქტიკულ ტურებს **ფიზიკაში, ქიმიასა და ინფორმატიკაში**. აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

(1) ოლიმპიადის ჩასატარებლად გამოყოფილია სულ სამი დღე.
(2) თითოეული სესია მხოლოდ ერთ დღეს ტარდება და მხოლოდ ერთ ტურს მოიცავს.
(3) თითოეულ დღეს ორი სესია მაინც უნდა ჩატარდეს.
(4) დასაშვებია ერთი და იმავე საგნის თეორიული და პრაქტიკული ტურების ერთ დღეს ჩატარება.
(5) დაუშვებელია ერთსა და იმავე დღეს ორზე მეტი თეორიული ტურის ჩატარება.
(6) მათემატიკის ტური და ფიზიკის თეორიული ტური სხვადასხვა დღეს უნდა ჩატარდეს.
(7) დაუშვებელია ფიზიკის პრაქტიკული ტურისა და ქიმიის პრაქტიკული ტურის ერთსა და იმავე დღეს ჩატარება.

ამოცანა 32.

ჩამოთვლილთაგან რომელია ოლიმპიადის ჩატარების დასაშვები განრიგი?

	I დღე	II დღე	III დღე
(ა)	მათემატიკა, ბიოლოგია.	ინფორმატიკა, გეოგრაფია.	ფიზიკა (პრაქტიკული), ფიზიკა (თეორიული), ქიმია (პრაქტიკული), ქიმია (თეორიული).
(ბ)	მათემატიკა, ფიზიკა (პრაქტიკული).	ბიოლოგია, ფიზიკა (თეორიული), ქიმია (პრაქტიკული).	ქიმია (თეორიული), გეოგრაფია, ინფორმატიკა.
(გ)	ბიოლოგია, ინფორმატიკა, ფიზიკა (პრაქტიკული), ქიმია (თეორიული).	ფიზიკა (თეორიული).	მათემატიკა, გეოგრაფია, ქიმია (პრაქტიკული).
(დ)	ბიოლოგია, გეოგრაფია, ფიზიკა (თეორიული), ქიმია (თეორიული).	მათემატიკა, ქიმია (პრაქტიკული).	ინფორმატიკა, ფიზიკა (პრაქტიკული).
(ე)	მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა (თეორიული).	ბიოლოგია, ქიმია (პრაქტიკული).	ინფორმატიკა, ფიზიკა (პრაქტიკული), ქიმია (თეორიული).

ამოცანა 33.

თუ პირველ დღეს მხოლოდ გეოგრაფიისა და ინფორმატიკის ტურები ჩატარდება, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი **არ შეიძლება** იყოს ჭეშმარიტი?

(ა) მათემატიკის ტური და ფიზიკის პრაქტიკული ტური ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება.
(ბ) ბიოლოგიის ტური და ქიმიის თეორიული ტური ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება.
(გ) ფიზიკისა და ქიმიის თეორიული ტურები ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება.
(დ) ბიოლოგიის ტური და ქიმიის პრაქტიკული ტური სხვადასხვა დღეს ჩატარდება.
(ე) ფიზიკის თეორიული ტური და ქიმიის პრაქტიკული ტური სხვადასხვა დღეს ჩატარდება.

ამოცანა 34.

თუ ინფორმატიკა, ასევე, ქიმიის თეორიული და ფიზიკის პრაქტიკული ტურები ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი იქნება ***აუცილებლად ჭეშმარიტი***?

(ა) ქიმიის პრაქტიკული ტურის ჩატარების დღეს ან მათემატიკის ტური ჩატარდება, ან ფიზიკის თეორიული ტური.
(ბ) ქიმიის პრაქტიკული ტური და ფიზიკის თეორიული ტური სხვადასხვა დღეს ჩატარდება.
(გ) ერთ-ერთ დღეს ზუსტად სამი სესია ჩატარდება.
(დ) ერთ-ერთ დღეს მხოლოდ თეორიული ტურის სესიები ჩატარდება.
(ე) ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ტურები ერთ დღეს ჩატარდება.

ამოცანა 35.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

I. პირველ დღეს ორჯერ მეტი სესია ჩატარდება, ვიდრე მეორე დღეს.
II. მესამე დღეს არცერთი თეორიული ტური არ ჩატარდება.
III. ერთ-ერთ დღეს ხუთი სესია ჩატარდება.

რომელია შესაძლებელი?

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ III
(დ) მხოლოდ I და II
(ე) მხოლოდ I და III

რაოდენობრივი მსჯელობა

7 ამოცანა

ამოცანა 36.

1 კგ ატამი და 2 კგ ვაშლი ერთად 5 ლარი და 90 თეთრი ღირს, ხოლო 2 კგ ატამი და 1 კგ ვაშლი ერთად ღირს 6 ლარი და 40 თეთრი. რამდენი ლარით ძვირია 2 კგ ატამი 2 კგ ვაშლზე?

(ა)	(ბ)	(გ)	(დ)	(ე)
0,85 ლარით	0,9 ლარით	1 ლარით	1,1 ლარით	1,2 ლარით

ამოცანა 37.

ნიკამ ექვსი სასწავლო კურსიდან, რომელთა შორისაა მათემატიკა, ფიზიკა, პროგრამირება და სამი უცხო ენა – ინგლისური, ფრანგული და გერმანული, უნდა აირჩიოს სამი. რამდენი განსხვავებული არჩევანი აქვს ნიკას, თუ მან აუცილებლად უნდა აირჩიოს ზუსტად ერთი უცხო ენა?

(ა) 6 (ბ) 8 (გ) 9 (დ) 12 (ე) 20

ამოცანა 38.

სამკერვალო ფაბრიკა მზა შარვლებს მაღაზიაში პარტიებად აბარებს. თითოეულ პარტიაში შარვლების ნახევარი მამაკაცისაა, ნახევარი – ქალის; ამასთან, ყოველ პარტიაში შარვლების 70% შავია, ხოლო 30 % – ყავისფერი. ქალის რამდენი შავი შარვალი იყო 200 შარვლისაგან დაკომპლექტებულ პარტიაში, თუ ის შეიცავდა მამაკაცის ზუსტად 15 ყავისფერ შარვალს?

(ა) 15 (ბ) 35 (გ) 45 (დ) 55 (ე) 85

ამოცანა 39.

მოცემულია $ABCD$ პარალელოგრამი. $BC = AD = 4$ სმ, $AB = CD = 2$ სმ.

B წერტილზე გამავალი წრფე AD გვერდს E წერტილში კვეთს.



განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

I. ABE და EBC კუთხეები ერთმანეთის ტოლია;
II. BED კუთხე 120^0-ის ტოლია.

იმისათვის, რომ ვიპოვოთ $ABCD$ პარალელოგრამის ფართობი,

(ა) საკმარისია **I პირობა**, ხოლო II პირობა **არ არის** საკმარისი.
(ბ) საკმარისია **II პირობა**, ხოლო I პირობა **არ არის** საკმარისი.
(გ) საკმარისია I და II პირობა **ერთად**, მაგრამ ცალ-ცალკე **არც ერთი** არ არის საკმარისი.
(დ) საკმარისია **თითოეული** პირობა **ცალ-ცალკე**.
(ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, **საჭიროა დამატებითი პირობები**.

ამოცანა 40.

1 საათის განმავლობაში ველოსიპედისტი მოძრაობდა *A* პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე. ცნობილია, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე იგი არ დაშორებია *A* პუნქტს 10 კმ-ზე მეტი მანძილით. ქვემოთ მოცემული სამი - I, II და III - სურათიდან რომელზე შეიძლება იყოს გამოსახული (მსხვილი უწყვეტი წირით) ამ დროის განმავლობაში ველოსიპედისტის მიერ გავლილი *S* მანძილის *t* დროზე დამოკიდებულების გრაფიკი?



სურათი I



სურათი II



სურათი III

(ა) მხოლოდ I-ზე

(ბ) მხოლოდ II-ზე

(გ) მხოლოდ III-ზე

(დ) მხოლოდ I-ზე ან II-ზე

(ე) მხოლოდ II-ზე ან III-ზე

ამოცანა 41.

მოცემულია საერთო ცენტრის მქონე კვადრატის, წრისა და ამ წრის შემომსაზღვრელი წრეწირის შესახებ გამოთქმული წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი (კვადრატის ცენტრი მისი დიაგონალების გადაკვეთის წერტილია):

“თუ ----------, მაშინ ----------”.

ქვემოთ მოცემული სამი (1), (2) და (3) ფრაგმენტიდან აარჩიეთ ორი და ჩასვით ისინი გამოტოვებულ ადგილებში ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

(1) წრეწირი კვადრატის გვერდებს რვა წერტილში კვეთს

(2) კვადრატის ფართობი წრის ფართობის ტოლია

(3) კვადრატის პერიმეტრი ნაკლებია წრეწირის სიგრძეზე

(ა)	(ბ)	(გ)	(დ)	(ე)	(ვ)
$(1)\to(2)$	$(2)\to(1)$	$(1)\to(3)$	$(3)\to(1)$	$(2)\to(3)$	$(3)\to(2)$

ამოცანა 42.

მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ხის მასიური სხეულიდან (ნახ. 1) ამოჭრეს მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ნაწილი (ნახ. 2), რის შედეგადაც მიიღეს მე-3 ნახაზზე გამოსახული სხეული. ცნობილია, რომ:

(1) 1 ნახაზზე გამოსახული მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის სხეულის სრულად და ერთგვაროვნად შესაღებად საჭიროა ზუსტად იმდენი გრამი საღებავი, რამდენი გრამიცაა საჭირო მე-3 ნახაზზე გამოსახული სხეულის ამგვარადვე შესაღებად.
(2) მე-2 ნახაზზე გამოსახული ამოჭრილი სხეულის D წახნაგი კვადრატია.



ნახაზი 1



ნახაზი 2



ნახაზი 3

ქვემოთ მოცემული ოთხი - I, II, III და IV - პირობიდან რომელი ორის ცოდნაა საკმარისი მე-2 ნახაზზე ნაჩვენები სხეულის მოცულობის გასაგებად?

I. 1 ნახაზზე ნაჩვენები სხეულის მოცულობა 16 სმ^3-ია.
II. 1 ნახაზზე ნაჩვენები სხეულის A წახნაგის ფართობი 16 სმ^2-ია.
III. 1 ნახაზზე ნაჩვენები სხეულის B წახნაგის ფართობი 4 სმ^2-ია.
IV. 1 ნახაზზე ნაჩვენები სხეულის C წახნაგის ფართობი 4 სმ^2-ია.

(ა)	(ბ)	(გ)	(დ)	(ე)	(ვ)
I და II	I და III	I და IV	II და III	II და IV	III და IV

პასუხები:

წაკითხულის გააზრება	
1	დ
2	გ
3	ე
4	ბ
5	დ
6	ე
7	გ
8	დ
9	გ
10	დ
11	ა
12	ე
13	გ
14	ა
15	დ
16	ბ
17	ე
18	ე
19	ბ
20	ა
21	გ

ლოგიკური მსჯელობა	
22	გ
23	გ
24	დ
25	ე
26	დ
27	დ
28	ა
29	გ
30	ე
31	დ
32	ბ
33	ბ
34	დ
35	ა

რაოდენობრივი მსჯელობა	
36	გ
37	გ
38	დ
39	გ
40	ე
41	ბ
42	ა

განმარტებები

წაკითხულის გააზრება

შეკითხვებს 1 – 5 უპასუხეთ ტექსტის I ნაწილის მიხედვით:

1. ტექსტის ამ ნაწილიდან გამომდინარე, რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) დაახასიათოს ბიზანტიაში კომენტარული ჟანრის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის საფუძველზე შექმნილი სამეცნიერო ენა.

(ბ) დაასაბუთოს, რომ ბიზანტიურ მწიგნობრულ ენასა და ხალხურ, სალაპარაკო ენას შორის განსხვავება არსებითი იყო.

(გ) განიხილოს და შეადაროს ერთმანეთს XI საუკუნემდელი და XI საუკუნის შუა ხანების ბიზანტიური ლიტერატურის თავისებურებები.

(დ) აღწეროს და განმარტოს გარდატეხის პროცესის არსი XI საუკუნის ბიზანტიური სამწერლობო ენის განვითარების ისტორიაში.

(ე) წარმოაჩინოს და გაგვაცნოს XI საუკუნის ბიზანტიური ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის ავტორთა ენაზე სალაპარაკო ენის ზეგავლენის ფაქტები.

(დ) სწორი პასუხია:

ავტორის მთავარი მიზანია, **აღწეროს და განმარტოს გარდატეხის პროცესის არსი XI საუკუნის ბიზანტიური სამწერლობო ენის განვითარების ისტორიაში.**

ავტორის მთავარი მიზანი ხომ იგივეა, რაც ტექსტის მთავარი სათქმელი, ანუ ძირითადი საკითხი, რომელსაც ტექსტში გამოკვეთილი ყველა სხვა საკითხი ექვემდებარება. ჩამოთვლილი ვარიანტებიდან მას მართებულად მხოლოდ (დ) პასუხი აღწერს.

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, უნდა გავიაზროთ მთლიანი ტექსტის (ანუ I ნაწილის ხუთივე აბზაცის) შინაარსი და დავაკვირდეთ, როგორ აგებს ავტორი თხრობას. ტექსტის შესავალში XI საუკუნემდელი ვითარების აღწერის შემდეგ, მის შუა, ძირითად ნაწილსა და შემდგომ დასკვნაში განხილულია სწორედ **(დ) ვარიანტში წარმოდგენილი საკითხი – XI საუკუნიდან ენაში დაწყებული გარდატეხის პროცესი და მისი შეფასება.**

(ა) ვარიანტში წარმოდგენილია ერთ-ერთი ის საკითხი, რომელსაც ავტორი **მხოლოდ I-II აბზაცებში, ე. ი. ტექსტის შესავალ ნაწილში განიხილავს,** რათა მთავარი სათქმელის გასააზრებლად შეამზადოს მკითხველი; შესაბამისად, მას ვერ ვუწოდებთ მთავარ მიზანს.

(ბ) ვარიანტში წარმოდგენილი მოსაზრება ტექსტიდან მართლაც გამომდინარეობს, მაგრამ ამ მოსაზრების **დასაბუთება ავტორს მიზნად არ დაუსახავს**; შესაბამისად, ავტორი არ გვაწვდის სათანადო არგუმენტებს; ტექსტში გადმოცემული ინფორმაცია ამ ფაქტზე მხოლოდ ირიბად მიგვანიშნებს და მკითხველს თავად გამოაქვს ეს, თავისთავად სწორი, დასკვნა.

(გ) ვარიანტი კიდევ უფრო მეტად აცდენილია ტექსტის ძირითად სათქმელს; **ლიტერატურის, როგორც ასეთის, განხილვა არ არის ავტორის მთავარი მიზანი,** იგი **ენის** განვითარების გზას აღწერს.

(ე) ვარიანტიც მცდარია, რადგან ბიზანტიური ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის ცალკეული ავტორების ენის უშუალო მიმართება სალაპარაკო ენასთან და ამ მიმართულებით ჩატარებული ანალიზი ტექსტში **არ არის წარმოდგენილი**.

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული ტექსტის მიხედვით?

I. მე-11 საუკუნემდელ ბიზანტიაში კლასიკური სამწერლობო ენა თანდათან სცილდებოდა სალაპარაკო ენას.

II. ბიზანტიურ მხატვრულ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული სტილიზებული ენა შემდგომში კომენტარული ჟანრის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ლიტერატურაშიც გამოიყენეს.

III. ხელოვნურად მიჩნეული ბიზანტიური სამეცნიერო ენისათვის დამახასიათებელი იყო სინონიმური გამოთქმებისა და აღმატებითი ხარისხის ფორმების სიჭარბე.

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ III

(გ) მხოლოდ I და III

(დ) მხოლოდ II და III

(ე) I, II და III

(გ) სწორი პასუხია.

ამ ტიპის შეკითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია, დავალების პირობაში ჩამოთვლილი თითოეული მოსაზრება (I, II, III) ცალ-ცალკე განვიხილოთ და შევაფასოთ, თუ რამდენად მართებულია ისინი ტექსტის მიხედვით.

I. მოსაზრება მართლაც გამომდინარეობს ტექსტიდან, კერძოდ, მისი I აბზაციდან.
II. მოსაზრება მცდარია; პირიქით, სტილიზებული ენა **კომენტარული ჟანრის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის საფუძველზე** ჩამოყალიბდა და ეს ფაქტი მკაფიოდ, ხაზგასმით არის აღნიშნული ავტორის მიერ პირველივე აბზაცში; II აბზაცში კი აღნიშნულია, რომ ამ კვალს **შემდგომში გაჰყვა მხატვრული ლიტერატურაც**.
III. მოსაზრება მართლაც დასტურდება ტექსტის ამ ნაწილის II აბზაცში.

შესაბამისად, I და III მოსაზრებები მართებულია და, ამდენად, ვარიანტი **(გ) – მხოლოდ I და III** – სწორი პასუხია.

3. ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს მართებულად ბიზანტიელი მოღვაწის, მიქელ პსელოსის ენის შეფასებას?

(ა) თავისებური სტილის გამო, მიქელ პსელოსის ენა ხასიათდება, როგორც ზუსტი, სისტემურად დამუშავებული ფილოსოფიური ენა.

(ბ) პსელოსი, თავისი თანამედროვეებისაგან განსხვავებით, თავს არიდებდა ვულგარული ენის ზეგავლენას და განსაკუთრებული პურიზმით გამოირჩეოდა.

(გ) მიქელ პსელოსის სტილი იმ კლასიკური სამეცნიერო ენის მყარი სისტემის ფარგლებში განისაზღვრება, რომელშიც იშვიათად თუ შეიჭრებოდა ახალი გრამატიკული ფორმა.

(დ) პსელოსის მიერ შექმნილი კომენტარული ჟანრის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის ენობრივ ფორმათა საფუძველზე შემდგომში საერთო სახალხო ენა ჩამოყალიბდა.

(ე) მიქელ პსელოსი კლასიკური სამწერლობო ენის ნორმებს იცავდა, მაგრამ ამავდროულად მის სამეცნიერო ენაში სალაპარაკო ენის სისტემის კვალიც შეინიშნება.

(ე) სწორი პასუხია:

მიქელ პსელოსი კლასიკური სამწერლობო ენის ნორმებს იცავდა, მაგრამ ამავდროულად მის სამეცნიერო ენაში სალაპარაკო ენის სისტემის კვალიც შეინიშნება. ეს მართებული მოსაზრება ტექსტის III აბზაციდან გამომდინარეობს.

(ა) ვარიანტში შემოთავაზებული დახასიათება მიქელ პსელოსის წინამორბედთა – **XI საუკუნემდელ მოღვაწეთა** ენას მიემართება და, შესაბამისად, არასწორია.

(ბ) ვარიანტის მოსაზრებაც მცდარია, რადგან III აბზაცის მიხედვით, პსელოსი **თავს ვერ არიდებდა სალაპარაკო (ე. წ. ვულგარული) ენის ზეგავლენას.**

(გ) ვარიანტიც არასწორია: მკვლევართა აზრით, პსელოსის ენაში არა თუ იშვიათია ახალი გრამატიკული ფორმები, **არამედ სწორედ ის მიიჩნევა ენის რეფორმის დამწყებად**, ახალი ფორმების გამოყენების გამო.

(დ) ვარიანტის მოსაზრებას კი **არ მოეპოვება ტექსტში გამამყარებელი არგუმენტები**; ტექსტის მონაცემების ფარგლებში ჩვენ ამ აზრს ვერც უარვყოფთ და ვერც დავასაბუთებთ.

4. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რა <u>არ</u> ახასიათებს XI-XII საუკუნეთა ბიზანტიურ ლიტერატურას?

(ა) ტრადიციული ესთეტიკის კრიტიკულად გადასინჯვა.

(ბ) სპეციფიკური სიტყვაწარმოების სფეროს უფრო მეტად გაფართოება.

(გ) სამწერლობო ენის ნორმებში ცვლილებების დამკვიდრება.

(დ) სალაპარაკო ენისა და ხალხური პოეზიის ზეგავლენა.

(ე) სამოქალაქო ლექსის ჟანრისათვის დიდი უპირატესობის მინიჭება.

(ბ) სწორი პასუხია.

ამ ტიპის შეკითხვაზე პასუხის გაცემისას ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ჩვენ ალტერნატიული პასუხების ჩამონათვალში ერთადერთ **არამართებულ, მცდარ ვარიანტს ვეძებთ**; სხვა დანარჩენი კი ყველა სწორი, მართებული უნდა იყოს ტექსტის მიხედვით.

ტექსტის I ნაწილის III, IV და V აბზაცებში მართლაც მოვიძიებთ (ა), (გ), (დ) და (ე) ვარიანტებში წარმოდგენილ მახასიათებლებს, რომელთაც XI-XII საუკუნეების ბიზანტიური ლიტერატურის ენა უდავოდ ავლენდა; ხოლო (ბ) ვარიანტის მახასიათებელი კი განხილულია II აბზაცში, როგორც XI **საუკუნემდელი** ბიზანტიური ენის სპეციფიკური თავისებურება; შესაბამისად, ის **<u>არ</u> ახასიათებს** მომდევნო ხანის ენასა და ლიტერატურას, ანუ სწორი პასუხია.

5. რა მიმართებაა ტექსტის ამ ნაწილის IV და V (ბოლო) აბზაცებს შორის?

ბოლო აბზაცში

(ა) განვრცობილია წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრება, რომ XI საუკუნის შუა ხანების ბიზანტიის კონსერვატიული მწიგნობრული ენა საკმაოდ დაცილებული იყო ამავე პერიოდის სალაპარაკო ენას.

(ბ) წარმოდგენილია წინა აბზაცში სალიტერატურო ენაზე სალაპარაკო ენის ზეგავლენის შესახებ გამოთქმული მოსაზრების დამადასტურებელი მნიშვნელოვანი არგუმენტები.

(გ) დაწვრილებით განხილულია წინა აბზაცში ზოგადად გამოთქმული თვალსაზრისი, რომ XI საუკუნის ბიზანტიურ პოეზიაში თავს იჩენს კლასიკური ენის დაშლის ნიშნები.

(დ) განზოგადებულია წინა აბზაცში ხალხური, სალაპარაკო ენის ფორმათა სალიტერატურო ენის სისტემაში მოქცევის დასადასტურებლად დამოწმებული ფაქტები და შეფასებულია მათი მნიშვნელობა.

(ე) არგუმენტებით დასაბუთებულია წინა აბზაცში გამოთქმული აზრი იოანე სკილიცესა და თეოდორე პროდრომეს შემოქმედებათა ენობრივი თავისებურებების შესახებ.

(დ) სწორი პასუხია:

ბოლო (V) აბზაცში **განზოგადებულია წინა აბზაცში ხალხური, სალაპარაკო ენის ფორმათა სალიტერატურო ენის სისტემაში მოქცევის დასადასტურებლად დამოწმებული ფაქტები და შეფასებულია მათი მნიშვნელობა.**

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, უნდა დავაკვირდეთ აზრის გადმოცემის ფორმასა და იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთაც ავტორი ბოლო, V აბზაცში იყენებს; ავტორი აბზაცს ასე იწყებს: „გამომდინარე ამგვარი მაგალითებიდან...” ასეთი დასაწყისი მკაფიოდ მიგვანიშნებს წინა აბზაცში წარმოდგენილი ფაქტების **განზოგადებაზე, ანუ მათი სახით მნიშვნელოვანი გლობალური პროცესის წარმოჩენაზე**; შემდეგ კი ავტორი **დასკვნის ფორმით** წარმოადგენს მკვლევართა აზრს, რომელშიც გადმოცემულია ამ ღირებული ფაქტების მნიშვნელობის შეფასება.

ამასთან, ყურადღება უნდა მივაქციოთ პასუხის ვარიანტების **საკვანძო სიტყვებსაც**, რომლებიც ავტორის მიზანს აღწერს. შესაბამისად, ჩვენ ადვილად გამოვრიცხავთ (ბ) და (ე) ვარიანტებს, რომელთა მიხედვით ბოლო აბზაცში **არგუმენტების ჩამონათვალი** უნდა არსებობდეს. ასევე, (ა) და (გ) ალტერნატიული პასუხებიც ადვილად გამოირიცხება, რადგან წინა აბზაცის **განვრცობას** თუ **დაწვრილებით განხილვას** მოითხოვს. **ამგვარი მიზნების მართებულობას გამორიცხავს V აბზაცის არა მხოლოდ შინაარსი, არამედ სტრუქტურაც.**

შეკითხვებს 6 – 10 უპასუხეთ ტექსტის II ნაწილის მიხედვით:

6. ტექსტის ამ ნაწილიდან გამომდინარე, რა არის ავტორის <u>მთავარი</u> მიზანი?

(ა) გაგვაცნოს გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლის მწიგნობართათვის დამახასიათებელი ტენდენციები.

(ბ) გამოკვეთოს არსებითი განსხვავება ძველი ქართული ლიტერატურული ენისა და ხალხური, სალაპარაკო ენის სისტემებს შორის.

(გ) განმარტოს, თუ რა შემთხვევაში ხდება გარდაუვალი გარდატეხის პროცესის დაწყება მკაცრი ნორმების მქონე სამწერლობო ენებში.

(დ) შეაფასოს ქართველი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების: გიორგი მთაწმიდლის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის ღვაწლი.

(ე) წარმოაჩინოს, თუ რა თვისებრივი განახლება იწყება XI საუკუნიდან ქართულ ტრადიციულ მწიგნობრულ ენაში და, შესაბამისად, მწერლობაშიც.

(ე) სწორი პასუხია:

ავტორის <u>მთავარი</u> მიზანია, **წარმოაჩინოს, თუ რა თვისებრივი განახლება იწყება XI საუკუნიდან ქართულ ტრადიციულ მწიგნობრულ ენაში და, შესაბამისად, მწერლობაშიც.**

მე-6 შეკითხვა პირველის ანალოგიურია. ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, უნდა გავიაზროთ მთლიანი ტექსტის (ანუ II ნაწილის ხუთივე აბზაცის) შინაარსი და დავაკვირდეთ, როგორ აგებს ავტორი თხრობას. **ძირითადი საკითხი, რომელზედაც ფოკუსირებულია მთელი ტექსტი, წარმოდგენილია მხოლოდ (ე) ვარიანტში**. შესაბამისად, ამ ვარიანტშია მართებულად აღწერილი ავტორის მთავარი მიზანი.

(ა) ვარიანტში წარმოდგენილია ზოგადი საკითხი, რომელსაც მხოლოდ **ნაწილობრივ** განიხილავს ავტორი, შესაბამისად, მას ვერ ვუწოდებთ მთავარ მიზანს. ტექსტში ინფორმაციები გელათის სამონასტრო სკოლის მოღვაწეთათვის დამახასიათებელი ტენდენციების შესახებ მოწოდებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ გათვალისწინებას ქართული მწიგნობრული ენის რეფორმის არსის, ანუ ტექსტის ძირითადი საკითხის, განხილვა უშუალოდ მოითხოვს.

(ბ) ვარიანტში წარმოდგენილი მიზანი – ძველი ქართული ლიტერატურული ენისა და ხალხური ენის სისტემების შეპირისპირება და მათ შორის არსებითი განსხვავების გამოკვეთა – არ დაუსახავს ავტორს, შესაბამისად, იგი არ გვაწვდის ამ მიზნის სათანადო არგუმენტებს; ტექსტში გადმოცემულია **მხოლოდ ზოგადი**

შეფასება XI საუკუნეში ხალხურის ზეგავლენით სალიტერატურო ენის ნორმების რღვევისა და სისტემური ენობრივი ცვლილებების მთელი ჯაჭვის არსებობის შესახებ და, ამდენად, ირიბად დადასტურებულია ლიტერატურულ და ხალხურ ენობრივ სისტემათა შორის **არსებითი განსხვავების არსებობაც**.

(გ) ვარიანტი კიდევ უფრო მეტად აცდენილია ტექსტის ძირითად სათქმელს; **ავტორი ტექსტის ამ ნაწილში მხოლოდ ქართული ენის განვითარების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპით შემოიფარგლება; მისი მიზანი არ არის, ეძიოს საზოგადოდ სამწერლობო ენებში გარდატეხის პროცესის გარდაუვალი დადგომის მიზეზები და პირობები.**

(დ) ვარიანტიც მცდარია, რადგან აქ ჩამოთვლილი ქართველი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების ღვაწლი ტექსტში **სრულად არ არის წარმოჩენილი**. აქაც, როგორც (ა) ვარიანტში, ცნობები ამ მოღვაწეთა შესახებ ავტორის მიერ მოწოდებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც XI საუკუნის ქართული მწიგნობრული ენის რეფორმის არსის, ანუ ტექსტის ძირითადი საკითხის, განხილვა განაპირობებს კონკრეტულად ამ სფეროში მათი წვლილის წარმოჩენას.

7. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრების გაზიარების საფუძველს გვიქმნის ტექსტი?

I. ზეპირმეტყველებაში ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროებში დაგროვილი ცვლილებები ტრადიციულმა მწიგნობრულმა ენამ, შესაძლოა, ვეღარ ასახოს და იგი მკვეთრად დასცილდეს სალაპარაკო ენის განვითარების საფეხურს.

II. სისტემურად დამუშავებულ ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ენაში აშკარად მჟღავნდება ბერძნული ენის ზეგავლენა სინტაქსური კონსტრუქციების აგებაში.

III. თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში ვერ აღწევს ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე ცვლილებები, რადგან ტრადიციულად ამ სფეროს კონსერვატიზმი ახასიათებს.

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ I და II
(დ) მხოლოდ I და III
(ე) I, II და III

(გ) სწორი პასუხია.

ცალ-ცალკე განვიხილოთ დავალების პირობაში ჩამოთვლილი თითოეული მოსაზრება (I, II, III) და შევაფასოთ, თუ რამდენად მართებულია ისინი ტექსტის მიხედვით.

I. მოსაზრება მართლაც გამომდინარეობს ტექსტიდან, კერძოდ, მისი I აბზაციდან. ქართული ენის ისტორიიდან დამოწმებული კონკრეტული მაგალითი საფუძველს გვიქმნის, რომ ეს ზოგადი აზრი გავიზიაროთ.
II. მოსაზრებაც მართებულია და დასტურდება ტექსტის II ნაწილის IV აბზაცის მიხედვით. ამგვარი ზეგავლენის უდავოდ არსებობის თაობაზე ავტორი ცხადად მიუთითებს.
III. მოსაზრება მცდარია; პირიქით, ტექსტის V აბზაცის მიხედვით, ქართული მთარგმნელობითი სკოლის მოღვაწეთა მიდგომა სწორედ საპირისპიროს ამტკიცებს; შესაბამისად, ტექსტიდან ამ მოსაზრების საწინააღმდეგო აზრი გამომდინარეობს – ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე ცვლილებებმა თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაშიც შეაღწია.

რადგან მართებულია მხოლოდ I და II მოსაზრებები, ხოლო III მცდარია, ვარიანტი **(გ) – მხოლოდ I და II** – სწორი პასუხია.

8. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს სწორად მიმართებას ტექსტის ამ ნაწილის IV და V (ბოლო) აბზაცებს შორის?

ბოლო აბზაცში

(ა) გამყარებულია წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრება, რომ ენის „გახალხურების" ტენდენცია განსაკუთრებით ვლინდება დიალექტური ლექსიკის მოზღვავებაში.

(ბ) კრიტიკულად განხილულია წინა აბზაცში გამოთქმული თვალსაზრისი, რომ ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ენა ბერძნული ენის გავლენას განიცდიდა სიტყვათშემოქმედების სფეროში.

(გ) შეფასებულია წინა აბზაცში გამოვლენილი მთავარი ფაქტის – ბიზანტიის კვალდაკვალ, გელათში მეცნიერული ხასიათის ლიტერატურის, კომენტარების კრებულების შექმნის – მნიშვნელობა.

(დ) განვრცობილია წინა აბზაცში გამოხატული ძირითადი აზრი, რომ XI საუკუნიდან ქართულ მწიგნობრულ ენაში, პროზასა და პოეზიაში, აშკარად თავს იჩენს ენის დემოკრატიზაციის ტენდენცია.

(ე) მაგალითებით დასაბუთებულია წინა აბზაცში გადმოცემული თვალსაზრისი, რომ სახოტბო პოეზია, ძველი იამბიკოების ნაცვლად, ახალ სალექსო საზომებს, ანუ „შაირს" იყენებს.

(დ) სწორი პასუხია:

ბოლო (V) აბზაცში **განვრცობილია წინა აბზაცში გამოხატული ძირითადი აზრი, რომ XI საუკუნიდან ქართულ მწიგნობრულ ენაში, პროზასა და პოეზიაში, აშკარად თავს იჩენს ენის დემოკრატიზაციის ტენდენცია.**

IV და V აბზაცების გააზრებით, ადვილად შევნიშნავთ, რომ (დ) სწორი პასუხია. IV აბზაცში იწყება და V-ში გრძელდება იმის დადასტურება, რომ ენის დემოკრატიზაციის ტენდენცია აშკარად იჩენს თავს ქართულ მწიგნობრულ ენაში, პროზასა და პოეზიაში. V აბზაცში ეს მოსაზრება განვრცობილია კონკრეტული მაგალითითაც, კერძოდ, დამოწმებულია შოთა რუსთაველის პოემის ენა.

არც ერთ სხვა ვარიანტში არ არის სწორად გადმოცემული V აბზაცის შინაარსი; ამ ვარიანტებში მართებულად არის წარმოდგენილი მე-IV აბზაცში განხილული საკითხები, მაგრამ მცდარია მათი კავშირი მომდევნო, V აბზაცის სათქმელთან, ანუ ავტორის რეალურ მიზანთან.

9. ცნობილია, რომ ათონის მთის ქართველი მოღვაწე, გიორგი მთაწმიდელი, საქართველოში ორჯერ იმყოფებოდა და მეორედ, მეფის მოწვევით, მან აქ ოთხი წელი დაჰყო.

<u>შეაჯერეთ</u> ტექსტთან და განსაზღვრეთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვარაუდის წინაპირობა შეიძლება იყოს ეს ინფორმაცია?

I. რადგან გიორგი მთაწმიდელი, ძირითადად, საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობდა, მისი ნაშრომების ენაზე, კლასიკური ქართული ენის ძეგლების ნაცვლად, ბერძნულმა იქონია არსებითი ზეგავლენა.

II. გიორგი მთაწმიდელმა კლასიკური ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-Xსს.) ნორმებით წერა შეძლო იმიტომ, რომ მან საქართველოში ჩამოსვლის დროს ადგილობრივ სამონასტრო-მწიგნობრულ სკოლაში აითვისა ამ პერიოდის ენის სისტემა.

III. სალაპარაკო ენის მოვლენების უხვად შემოჭრას გიორგი მთაწმიდლის თხზულების კლასიკურ სამწერლობო ენაში ისიც იწვევს, რომ მას უშუალო შეხება ჰქონდა ცოცხალ მეტყველებასთან.

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ III
(დ) მხოლოდ I და III
(ე) მხოლოდ II და III

(გ) სწორი პასუხია.

ამ შეკითხვის თავისებურება ის არის, რომ მასში შემოტანილია **დამატებითი ინფორმაცია**, რომელიც ტექსტთან უნდა შევაჯეროთ და მართებული დასკვნა გამოვიტანოთ.

ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, ტექსტში წარმოდგენილი ცნობების ამ დამატებითი ინფორმაციით შევსება რამდენად ქმნის საფუძველს, გავიზიაროთ ქვემოთ ჩამოთვლილი სავარაუდო მოსაზრებები (I, II, III).

I. მოსაზრება მცდარია, ლოგიკურად არ გამომდინარეობს არც ტექსტიდან და არც დამატებითი ინფორმაციიდან – **არსად არ არის აღნიშნული** ბერძნული ენის არსებითი ზეგავლენის შესახებ.

II. მოსაზრებაც მცდარია; პირიქით, ტექსტში დასტურდება, რომ გიორგი მთაწმიდელი **აღზრდილია** კლასიკური ქართულის ძეგლებზე (იხილე II აბზაცი),

შესაბამისად, მას მოგვიანებით, სამშობლოში ჩამოსვლის დროს, **არ აუთვისებია** ამ პერიოდის ენის სისტემა.

III. მოსაზრება დასაშვებ, მართებულ ვარაუდს წარმოაჩენს: **დამატებითი ინფორმაციის** ტექსტთან შეჯერებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სამშობლოში ხანგრძლივი დროით დაბრუნება და ცოცხალი მეტყველების პრაქტიკა **მართლაც განაპირობებდა** სალაპარაკო ენის ფორმების შეჭრას გიორგი მთაწმიდლის თხზულების კლასიკურ სამწერლობო ენაში. დამატებითი ინფორმაცია მხოლოდ ამ ვარაუდის გასაზიარებლად არის საკმარისი.

რადგან I და II მოსაზრებები მცდარია, ხოლო III - მართებულია, ვარიანტი **(გ) – მხოლოდ III** – სწორი პასუხია.

10. ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს მართებულად მკვლევარ აკაკი შანიძის მიერ გამოთქმულ შეფასებას?

(ა) გიორგი მთაწმიდლის თხზულების, „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების", თავისებურებათა განხილვის შედეგად დავასკვნით, რომ ავტორი კლასიკური ქართულისა და ბერძნულის ძეგლებზე აღიზარდა.
(ბ) კლასიკური ქართული ენის ძეგლებზე აღზრდილი გიორგი მთაწმიდელი ახერხებს, სრულყოფილად დაიცვას ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-Xსს.) ნორმები.
(გ) გიორგი მთაწმიდლის თხზულების ენაზე ცოცხალი ენის ზეგავლენა უმეტესად თავს იჩენს უფრო ფონეტიკურ საკითხებსა და სახელთა ბრუნებაში, ვიდრე ზმნების უღლებაში.
(დ) გიორგი მთაწმიდელი თავის თხზულებას ძველი სალიტერატურო ქართულის ბოლო პერიოდის ნორმების მიხედვით წერს, თუმცა მასში ასევე გამოყენებულია ცოცხალი ენისათვის დამახასიათებელი ფორმებიც.
(ე) გიორგი მთაწმიდლის ნაშრომთა შორის „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება" გამოირჩევა იმით, რომ სწორედ ამ თხზულებაში შეინიშნება ცოცხალი ენის ძლიერი ზეგავლენა.

(დ) სწორი პასუხია.

ეს შეკითხვა ტექსტის **ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე** ყურადღების გამახვილებასა და მის **სწორად ინტერპრეტაციას** მოითხოვს. ამიტომ ჯერ ტექსტში უნდა მოვძებნოთ სათანადო მონაკვეთი (კერძოდ, მკვლევარ აკაკი შანიძის შეფასება) და გავიაზროთ; შემდეგ კი პასუხთა ვარიანტებში უნდა აღმოვაჩინოთ მისი ანალოგიური, ტოლფასი აზრი. შანიძის შეფასების სწორი ინტერპრეტაცია წარმოდგენილია მხოლოდ (დ) ვარიანტში.

(ა) ვარიანტში კლასიკური ბერძნული ენის ძეგლებზეც არის გამახვილებული ყურადღება, რაც მკვლევარს არ ეკუთვნის.

(ბ) ვარიანტში არასწორად არის აღნიშნული, რომ გიორგი მთაწმიდელი სრულყოფილად, ზედმიწევნით იცავდა ძველ ნორმებს.

(გ) ვარიანტი მცდარია იმიტომ, რომ შანიძე არ გვთავაზობს ფონეტიკური საკითხებისა და სახელთა ბრუნების ნორმათა ამგვარ შეპირისპირებას ზმნების უღლებასთან; პირიქით, მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ცვლილებები ყველგან შეინიშნება.**

(ე) ვარიანტიც მცდარია, რადგან მკვლევარი თავის შეფასებაში არ გამოყოფს ამ კონკრეტულ თხზულებას, როგორც გამორჩეულს გიორგი მთაწმიდლის ნაშრომთა შორის. ასეთი შენიშვნა ტექსტში არ დასტურდება.

შეკითხვებს 11 – 14 უპასუხეთ ტექსტის ორივე ნაწილის მიხედვით:

11. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს ტექსტის ორივე ნაწილის შეჯერებით?

(ა) XI საუკუნის ბიზანტიისა და საქართველოს მწიგნობრულ კერებში განვითარებული პროცესები კომპლექსური ცვლილებებით ხასიათდება, და, არსებითად, ერთიმეორის ანალოგიურია.

(ბ) XI საუკუნის ბიზანტიაში, საქართველოსაგან განსხვავებით, ძველი მწიგნობრული სკოლების მიერ გამომუშავებული ლიტერატურულ-სამეცნიერო ენა მკვეთრად დასცილდა ხალხურ ენას.

(გ) XI საუკუნის ბიზანტიის მწიგნობრულ ენაში განვითარებული პროცესები საქართველოში არსებულისაგან განსხვავდება იმით, რომ ბიზანტიურში ცვლილებები ფონეტიკის სფეროშიც გამოვლინდა.

(დ) გელათის სკოლის მწიგნობართა მკვეთრმა ელინოფილურმა ტენდენციებმა დიდი ხნით შეაფერხა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესი.

(ე) გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლის როლი სამეცნიერო ენის ჩამოყალიბებაში გაცილებით შედეგიანი იყო, ვიდრე – ბიზანტიელ მწიგნობართა მცდელობა.

(ა) სწორი პასუხია:

XI საუკუნის ბიზანტიისა და საქართველოს მწიგნობრულ კერებში განვითარებული პროცესები კომპლექსური ცვლილებებით ხასიათდება, და, არსებითად, ერთიმეორის ანალოგიურია.

შესაძლებელია ითქვას, რომ ტექსტი შექმნილია სწორედ ამ მნიშვნელოვანი, მთავარი აზრის გამოსაკვეთად.

(ბ), (გ), (ე) ვარიანტებში მცდარად წარმოჩენილია **განსხვავება** ბიზანტიურსა და ქართულ მწიგნობრულ კერებსა და მიმდინარე პროცესებს შორის, მაშინ როცა ტექსტი ავტორის მიერ აგებულია სწორედ მსგავსი პროცესების გამოსავლენად, მსგავსების ჩვენების მიზნით.

ასევე, (დ) ვარიანტიც მცდარია, რადგან, ტექსტის მიხედვით, ქართული ენის განვითარების **პროცესი არ შეფერხებულა.**

12. ტექსტიდან გამომდინარე, ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს უფრო მართებულად ბიზანტიელი და ქართველი მოღვაწეების შედარებას, სალიტერატურო ენის ისტორიაში მათ მიერ შეტანილი წვლილის მსგავსების მიხედვით?

(ა) მიქელ პსელოსი – ეფრემ მცირესთან, ანა კომნენე – რუსთაველთან.

(ბ) იოანე სკილიცე და თეოდორე პროდრომე – გიორგი მთაწმიდელთან.

(გ) მიქელ პსელოსი და ანა კომნენე – გიორგი მთაწმიდელთან, პროკლე დიადოხოსი – ეფრემ მცირესთან.

(დ) ანა კომნენე – ეფრემ მცირესთან, მიქელ პსელოსი – რუსთაველთან.

(ე) მიქელ პსელოსი – გიორგი მთაწმიდელთან, თეოდორე პროდრომე – რუსთაველთან.

(ე) სწორი პასუხია:

ტექსტის ორივე ნაწილის მთლიანობაში გააზრებით, ცხადი ხდება, რომ შესაძლებელია ორი რეფორმატორისა და ორი მწერლის ერთმანეთთან შედარება სალიტერატურო ენის ისტორიაში მათ მიერ შეტანილი წვლილის მსგავსების გამო:

მიქელ პსელოსი – გიორგი მთაწმიდელთან,

თეოდორე პროდრომე – რუსთაველთან.

XI საუკუნეში ბიზანტიური და ქართული სამწერლობო ენების რეფორმებს შორის ანალოგიურად წარმართული პროცესები გამოკვეთს ბიზანტიელი მიქელ პსელოსისა და ქართველი გიორგი მთაწმიდლის წვლილთა მსგავსებას; ასევე, ბიზანტიური და ქართული დიდი ლიტერატურის მოღვაწეთა, ენის რეფორმატორთა – პროდრომესა და რუსთაველის როლთა მსგავსებას.

(ა), (ბ), (გ) და (დ) ვარიანტებში წარმოდგენილი პასუხები უსაფუძვლოა და ვერ დადასტურდება ტექსტის მიხედვით.

13. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება <u>არ</u> დასტურდება მთლიანი ტექსტის მიხედვით?

(ა) ბიზანტიური მანგანას აკადემიისა და გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელთა მოღვაწეობის შედეგებს შორის გარკვეული თანხვედრა იკვეთება.

(ბ) ჩვენამდე მოღწეულია ეფრემ მცირის ტერმინები, რომლებითაც ის აღწერს XI საუკუნის ქართულ ხალხურ ენასა და ძველი ქართული მწიგნობრული სკოლების მიერ გამომუშავებულ სალიტერატურო ენას.

(გ) თავისი სტილითა და სირთულით, დიონისე არეოპაგელის, ასევე, მაქსიმე აღმსარებლის ენას საქართველოში შესაძლებლია შევუდაროთ იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის თხზულებათა ენა.

(დ) ანა კომნენე, რომელიც მიქელ პსელოსის მიმდევარი იყო, თავს ვერ არიდებდა სალაპარაკო ენის ზეგავლენით კლასიკური ენის ნორმათა დარღვევას წერილობით ენაში.

(ე) ბიზანტიური ისტორიოგრაფიის ენა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის საფუძველზე უკვე ჩამოყალიბებული სამეცნიერო ენის სისტემას იყენებდა.

(გ) სწორი პასუხია.

ეს შეკითხვა თავისი სტრუქტურით მე-4 შეკითხვის ანალოგიურია: ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ჩვენ ალტერნატიული პასუხების ჩამონათვალში ერთადერთ **არამართებულ, მცდარ ვარიანტს ვეძებთ**; სხვა დანარჩენი კი ყველა სწორი, მართებული უნდა იყოს ტექსტის მიხედვით.

(გ) ვარიანტი სწორი პასუხია, რადგან მასში წარმოდგენილი ინფორმაცია მცდარია, ის ვერ დადასტურდება ტექსტის მიხედვით: იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი ენის რეფორმატორები იყვნენ, შესაბამისად, მათი ენის შედარება დიონისე არეოპაგელისა და მაქსიმე აღმსარებლის კონსერვატიულ ენასთან, მძიმე სტილთან, არამართებულია (იხილე და ერთმანეთს შეადარე I ნაწილის II აბზაცი და II ნაწილის III აბზაცი).

(ა) ვარიანტში წარმოდგენილი მოსაზრების მართებულობა დასტურდება ტექსტის I და II ნაწილების შეჯერებით, ე. ი. (ა) არ არის სწორი პასუხი.

(ბ) ვარიანტის მოსაზრების დადასტურება შესაძლებელია ტექსტის II ნაწილის I აბზაცის მიხედვით. ამდენად, არც (ბ) არის სწორი.

(დ) ვარიანტში წარმოდგენილი აზრის დადასტურება შესაძლებელია ტექსტის I ნაწილის III აბზაცის მიხედვით; ე. ი. (დ) ვერ იქნება სწორი პასუხი.

(ე) ვარიანტის მოსაზრება მართლაც გამოთქმულია ტექსტში, კერძოდ კი, მისი I ნაწილის II აბზაცში. ამდენად, არც (ე) არის სწორი.

14. ჩამოთვლილთაგან რომელი თვალსაზრისია მართებული, მთლიანი ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით?

I. XI-XII საუკუნეების ბიზანტიასა და საქართველოშიც სალიტერატურო ენის „გახალხურების", ანუ ენის დემოკრატიზაციის პროცესი რაციონალისტური ტენდენციების საზოგადო ზრდაზე მიუთითებს.

II. ბიზანტიაში, საქართველოსაგან განსხვავებით, მწიგნობრული ენის რეფორმის წამოწყება და გატარება ფილოსოფოს-თეოლოგთა სახელებს უკავშირდება.

III. „გელათური" ენობრივი სტილის თეორიული საფუძვლები შემუშავებულია მანგანას ცნობილი აკადემიის მოღვაწეთა მიერ, იქ დადგენილი ნორმების მიხედვით.

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ II

(გ) მხოლოდ I და II

(დ) მხოლოდ I და III

(ე) მხოლოდ II და III

(ა) სწორი პასუხია.

ცალ-ცალკე განვიხილოთ დავალების პირობაში ჩამოთვლილი თითოეული მოსაზრება (I, II, III) და შევაფასოთ, თუ რამდენად მართებულია ისინი ტექსტის მიხედვით.

I. მოსაზრება მართლაც გამომდინარეობს ტექსტიდან: მისი დადასტურება შესაძლებელია ტექსტის I ნაწილის V აბზაცისა და II ნაწილის III აბზაცის მოსაზრებათა ერთმანეთთან შეჯერებით.

II. მოსაზრება მცდარია; ტექსტის მიხედვით, საქართველოსა და ბიზანტიას შორის ამ თვალსაზრისით **განსხვავება არ არის:** ორივეგან მწიგნობრული ენის რეფორმის წამოწყება და გატარება ფილოსოფოს-თეოლოგთა სახელებს უკავშირდება.

III. მოსაზრებაც მცდარია; ე. წ. „გელათური" ენობრივი სტილის საფუძვლები დამოუკიდებლად შემუშავდა და არა – მანგანას აკადემიის მოღვაწეთა მიერ, იქ დადგენილი ნორმების მიხედვით. ტექსტში ვკითხულობთ: თავისთავადი „გელათური" ენობრივი სტილის თეორიული საფუძვლების გამომუშავება ამ სკოლის მოღვაწეთა სახელს უკავშირდება (იხილე II ნაწილის III აბზაცი).

რადგან მართებულია მხოლოდ I მოსაზრება, ხოლო II და III მცდარია, ვარიანტი **(ა) – მხოლოდ I** – სწორი პასუხია.

15. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს უფრო ზუსტად და მართებულად ავტორის მთავარ მიზანს?

(ა) გამოკვეთოს არსებითი განსხვავება დემოკრატიასა და ავტორიტარულ რეჟიმებს შორის და ახსნას, რამდენად სასურველია დემოკრატიზაცია.

(ბ) გაგვაცნოს ე.წ. პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების მიერ შემუშავებული იდეები დემოკრატიზაციის პროცესის პოპულარიზაციის შესახებ.

(გ) განიხილოს ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური დისკუსიები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხერხდეს დემოკრატიის განვითარება და შენარჩუნება.

(დ) წარმოაჩინოს და შეაფასოს ე.წ. პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების შეხედულებებს შორის განსხვავება ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.

(ე) დაახასიათოს დემოკრატია, როგორც მმართველობის ფორმა და გაგვაცნოს დემოკრატიზაციის პროცესის ახლებური ხედვა.

(დ) სწორი პასუხია:

ავტორის მთავარი მიზანია, **წარმოაჩინოს და შეაფასოს ე. წ. პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების შეხედულებებს შორის განსხვავება ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.**

ამ ტიპის შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, უნდა გავიაზროთ მთლიანი ტექსტის (ანუ ამჯერად ექვსივე აბზაცის) შინაარსი და დავაკვირდეთ, როგორ აგებს ავტორი თხრობას. შესავლის შემდეგ, II აბზაცშივე, ავტორი ძირითად საკითხს – **პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების შეხედულებებს შორის განსხვავებას** – მკაფიოდ გამოკვეთს და ტექსტის მომდევნო აბზაცებში მას ისტორიულ ჭრილში (1950-60-იანი წლებიდან მოყოლებული, 21-ე საუკუნეში 11 სექტემბრის ცნობილი თავდასხმის ფაქტის ჩათვლით) ეტაპობრივად განიხილავს, ამავე საკითხს უკავშირდება დასკვნის სახით წარმოდგენილი ბოლო აბზაციც. შესაბამისად, **ძირითადი საკითხი, რომელზედაც ფოკუსირებულია მთელი ტექსტი, წარმოდგენილია (დ) ვარიანტში**. რაც იმას ნიშნავს, რომ სწორედ ამ ვარიანტშია მართებულად აღწერილი ავტორის **მთავარი** მიზანი.

(ა) ვარიანტში წარმოდგენილია საკითხი, რომელსაც ავტორი თავისთავად მართებულ მოსაზრებად მიიჩნევს: დემოკრატიასა და ავტორიტარულ რეჟიმებს შორის განსხვავება მართლაც არსებითია; თუმცა, ამ **განსხვავების წარმოჩენას აღარ ისახავს მიზნად** ავტორი; იგი არც იმას მიიჩნევს სადავოდ, თუ **რამდენად**

სასურველია დემოკრატიზაცია; ტექსტის პირველივე აბზაცში აღნიშნულია, რომ „დღეს დისკუსიები მიმდინარეობს არა იმის თაობაზე, რამდენად უმჯობესია დემოკრატია, არამედ იმის შესახებ, თუ როგორ მოვახერხოთ მისი პოპულარიზაცია.”

(ბ) ვარიანტიც აცდენილია (ამ ტექსტში) ავტორის ინტერესის სფეროს; **იგი არ ცდილობს პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების მიერ შემუშავებული იდეების დეტალურად აღწერას და მკითხველისათვის გაცნობას**; მისი მიზანი უფრო ზოგადია – მას სურს, წარმოაჩინოს და შეაფასოს პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების შეხედულებებს შორის მხოლოდ **არსებითი, ძირითადი, კონცეპტუალური** განსხვავება.

(გ) ვარიანტი კი პირიქით, უფრო ზოგად თემას გვთავაზობს, ვიდრე ტექსტის ძირითადი საკითხია; ავტორს მხოლოდ პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების შეპირისპირება სურს, **იგი არ განიხილავს საზოგადოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დისკუსიებს** დემოკრატიზაციის განვითარებისა და შენარჩუნების შესახებ; შესაბამისად, არც იმას განარჩევს, თუ რომელი უნდა მივიჩნიოთ ყველაზე მნიშვნელოვნად.

(ე) ვარიანტიც, (გ) ვარიანტის მსგავსად, **გაცილებით უფრო ზოგად საკითხს ეხება, ვიდრე ამ ტექსტის ფარგლებში განიხილა ავტორმა**; დემოკრატიის, როგორც მმართველობის ფორმის, დახასიათება ტექსტში **არ არის წარმოდგენილი**.

16. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება დასტურდება ტექსტში?

I. პრეკონდიციონისტების ან უნივერსალისტების თეორიული შეხედულებები, ცალკე აღებული, სრულად ვერ ასახავს დემოკრატიზაციის რთულ პროცესს.

II. დემოკრატიული ტრანზიციის პროცესი ის საკითხია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, გლობალური დემოკრატიზაციის „მესამე ტალღის“ შემდეგ.

III. დემოკრატიის წარმატებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სტრუქტურული ფაქტორის შესწავლა პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების საერთო მთავარი მეცნიერული ინტერესია.

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ I და II

(გ) მხოლოდ I და III

(დ) მხოლოდ II და III

(ე) I, II და III

(ბ) სწორი პასუხია.

ცალ-ცალკე განვიხილოთ დავალების პირობაში ჩამოთვლილი თითოეული მოსაზრება (I, II, III) და შევაფასოთ, თუ რამდენად მართებულია ისინი ტექსტის მიხედვით.

I. მოსაზრება მართლაც გამომდინარეობს ტექსტიდან; მისი დადასტურება შესაძლებელია ტექსტის VI აბზაცის მთავარი სათქმელის გააზრებით: თავად ავტორი ტექსტის დასკვნით ნაწილში სწორედ ამ კრიტიკულ აზრს აყალიბებს.

II. მოსაზრებაც მართებულია; მისი დადასტურება შესაძლებელია ტექსტის III აბზაცის მიხედვით.

III. მოსაზრება მცდარია; ავტორი პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების შეხედულებებს შორის **განსხვავებას** წარმოაჩენს, **ტექსტში არ არის გამოკვეთილი და ასახული მათი საერთო მეცნიერული ინტერესები.**

რადგან მართებულია მხოლოდ I და II მოსაზრებები, ხოლო III მცდარია, ვარიანტი **(ბ) – მხოლოდ I და II** – სწორი პასუხია.

17. რომელი <u>არ</u> არის მართებული ტექსტის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან?

(ა) პრეკონდიციონისტები დემოკრატიზაციის შესაძლებლობის განსაზღვრაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გარკვეულ წინაპირობებსა და გამოცდილებას.

(ბ) უნივერსალისტებს სწამთ, რომ ყველა ხალხი ესწრაფვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლად თავისი თავის მართვას.

(გ) მუსლიმური ახლო აღმოსავლეთის ავტორიტარული რეჟიმების შეცვლისა და დემოკრატიზაციის იდეას კრიტიკული შეფასებები მოჰყვა.

(დ) არასტაბილურობის საშიშროების გამო, ხშირად პრეკონდიციონისტები ავტორიტარულ რეჟიმებს სუსტ დემოკრატიებზე მეტად უჭერენ მხარს.

(ე) უნივერსალისტების აზრით, დემოკრატიის ტრანზიციისთვის განურჩევლად ხელის შეწყობა სასიკეთოს არაფერს მოიტანს.

(ე) სწორი პასუხია.

ამ ტიპის შეკითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად, ჩვენ ალტერნატიული პასუხების ჩამონათვალში ერთადერთ **არამართებულ, მცდარ ვარიანტს ვეძებთ**; სხვა დანარჩენი კი ყველა მართებული უნდა იყოს ტექსტის მიხედვით.

(ე) ვარიანტი სწორი პასუხია, რადგან მასში წარმოდგენილი ინფორმაცია მცდარია, ის ვერ დადასტურდება ტექსტის მიხედვით: პირიქით, უნივერსალისტები დემოკრატიის ტრანზიციის უპირობოდ ხელშეწყობის მომხრენი არიან.

(ა) ვარიანტში წარმოდგენილი მოსაზრების **მართებულობა დასტურდება** ტექსტის II აბზაცის მიხედვით, ე. ი. (ა) არ არის სწორი პასუხი.

(ბ) ვარიანტის მოსაზრების **დადასტურება შესაძლებელია** ტექსტის II და IV აბზაცების მიხედვით. ამდენად, არც (ბ) არის სწორი.

(გ) ვარიანტის მოსაზრება **მართლაც გამოთქმულია** ტექსტში; V აბზაცში ვკითხულობთ: „ბუშის გუნდის მიდგომა, როგორც მიამიტი და დაუფიქრებელი, კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა". შესაბამისად, (გ) ვერ იქნება სწორი პასუხი.

(დ) ვარიანტში წარმოდგენილი აზრის **დადასტურებაც შესაძლებელია** ტექსტის V აბზაცის მიხედვით: მართლაც, პრეკონდიციონისტები „ბევრ შემთხვევაში ღიად უჭერენ მხარს ავტორიტარულ რეჟიმებს, რადგან სჯერათ, რომ ავტორიტარული რეჟიმები სუსტ დემოკრატიებზე მეტად შექმნიან წინაპირობას შემდგომში წარმატებული დემოკრატიზაციისათვის". ამდენად, არც (დ) არის სწორი.

18. რა მიმართებაა ტექსტის IV და V აბზაცებს შორის?

I. მეოთხე აბზაცში აღწერილია თეორიულ მოდელთა უშუალოდ პრაქტიკაში განხორციელების პროცესები, მეხუთე აბზაცში კი შეფასებულია მიღებული შედეგი.

II. მეოთხე აბზაცში წარმოდგენილია ახალი უნივერსალისტების პოზიცია, ხოლო მეხუთე აბზაცში გადმოცემულია თანამედროვე პრეკონდიციონის-ტებისეული საპირისპირო მოსაზრება.

III. მეოთხე აბზაცში წარმოდგენილია დემოკრატიული ტრანზიციის პროცესის სქემა (იდეა), რომლის შედეგიც კრიტიკულად შეფასებულია მეხუთე აბზაცში.

ამათგან მართებულია:

(ა) მხოლოდ I და II
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ I და III
(დ) მხოლოდ III
(ე) მხოლოდ II და III

(ე) სწორი პასუხია.

ეს შეკითხვა თავისი შინაარსით მე-5 და მე-8 შეკითხვების ანალოგიურია – **აბზაცებს შორის მიმართების დადგენას მოითხოვს**; თუმცა, თავისი სტრუქტურით ის განსხვავდება ამ შეკითხვებისაგან, რადგან არ გვაწვდის ალტერნატიულ ვარიანტებს მხოლოდ ერთი მოსაძიებელი სწორი პასუხით; ჩვენ დავალების პირობაშივე ჩამოთვლილი მოსაზრებების მართებულობა უნდა შევამოწმოთ და **განვსაზღვროთ, მათგან რომელია სწორი.**

ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული მოსაზრება (I, II, III) და შევაფასოთ, თუ რამდენად მართებულია ისინი:

I. მოსაზრება მცდარია, რადგან IV აბზაცი **მხოლოდ თეორიულ მსჯელობას შეიცავს**, მასში არ არის წარმოდგენილი „თეორიულ მოდელთა უშუალოდ პრაქტიკაში განხორციელების პროცესები".

II. მოსაზრება **მართებულია; მართლაც, IV აბზაცში ავტორი ახალი თაობის უნივერსალისტების პოზიციას განიხილავს, ხოლო V აბზაცში გვაწვდის მისგან რადიკალურად განსხვავებულ აზრს, რომელიც პრეკონდიციონიზმის ახალმა ტალღამ წარმოშვა.**

III. მოსაზრებაც **მართებულია: IV აბზაცში მართლაც არის წარმოდგენილი დემოკრატიული ტრანზიციის პროცესის სქემა („შოკური თერაპიისა" და „დიდი აფეთქების" იდეები), ხოლო მისი წარუმატებელი შედეგი კრიტიკულად შეფასებულია V აბზაცში.**

რადგან მართებულია მხოლოდ II და III მოსაზრებები, ხოლო I მცდარია, ვარიანტი **(ე) – მხოლოდ II და III** – სწორი პასუხია.

19. ჩამოთვლილთაგან რომელშია მართებულად გადმოცემული საკუთრივ ავტორის ორიგინალური პოზიცია?

(ა) ავტორიტარული რეჟიმები დროთა განმავლობაში სუსტ დემოკრატიებზე უფრო მეტად ქმნიან წინაპირობას წარმატებული დემოკრატიზაციისათვის.

(ბ) დემოკრატიზაციის პროცესი თვით ყველაზე ხელსაყრელი წინაპირობების მქონე ქვეყნებისთვისაც კი ძნელი და მტკივნეულია.

(გ) დემოკრატიული მმართველობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ყველა სხვა წყობაზე უფრო მეტად უწყობს ხელს.

(დ) მსოფლიოს უმეტეს ნაწილში პირობები დემოკრატიის განვითარებისა და შენარჩუნებისათვის თითქმის არ არსებობს, ან მხოლოდ სუსტადაა წარმოდგენილი.

(ე) საგარეო-პოლიტიკური საკითხების მიმართ ბუშის ადმინისტრაციის პოსტ-თერთმეტისექტემბრისეული მიდგომა მიამიტური და დაუფიქრებელი აღმოჩნდა.

(ბ) სწორი პასუხია:

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ტექსტის ხასიათს უნდა მივაქციოთ ყურადღება: ჩვენ წინაშეა **ანალიტიკური ხასიათის** ტექსტი, სტატია, რომელშიც ავტორი არა მხოლოდ გვაცნობს არსებულ განსხვავებულ პოზიციებსა თუ შეხედულებებს, არამედ მათ კრიტიკულ ანალიზსა და საკუთარ ხედვასაც გვთავაზობს. მნიშვნელოვანია, შეცდომაში არ შეგვიყვანოს იმ მოსაზრებებმა, რომელთაც ავტორი თავად არ გამოთქვამს, თუმცა, შესაძლებელია, იზიარებდეს, ეთანხმებოდეს მათ. (ბ) ვარიანტში წარმოდგენილი მოსაზრება სწორედ საკუთრივ ავტორის ორიგინალური პოზიციაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტორის მთავარი მიზანია, წარმოაჩინოს პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების შეხედულებებს შორის განსხვავება ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით და შეაფასოს ის. სწორედ შეფასებითი ნაწილი შეიცავს ავტორისეულ პოზიციას. საყურადღებოა, რომ ეს პოზიცია **ტექსტის ბოლო, შემაჯამებელ VI აბზაცში ერთ-ერთი დასკვნის სახით არის წარმოდგენილი**.

(ა) და (დ) ვარიანტებში გადმოცემული შეხედულებები **პრეკონდიციონისტებს ეკუთვნით** და არა – ავტორს.

(გ) ვარიანტში კი წარმოდგენილია შეხედულება, რომელიც, ტექსტის მიხედვით, მკვლევართა მიერ **უკვე საზოგადოდ გაზიარებულია** და მის მართებულობაზე აღარ კამათობენ; ამ შეთანხმებულ პოზიციას პირველივე აბზაცში გადმოგვცემს ავტორი და არავითარ შენიშვნას არ ურთავს მას, ანუ არ გვაწვდის განსხვავებულ პირად პოზიციას.

(ე) ვარიანტშიც სხვათა შეხედულებაა წარმოჩენილი; ავტორის მიზანია, მკითხველს **შეახსენოს**, რომ „ბუშის გუნდის მიდგომა კრიტიკის ქარცეცხლში **აღმოჩნდა**" (იხილე ტექსტის V აბზაცი).

20. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ</u> ასახავს სწორად განსხვავებას პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების შეხედულებებს შორის?

(ა) უნივერსალისტებისაგან განსხვავებით, პრეკონდიციონისტებს შესაძლებლად მიაჩნიათ ქვეყანაში დემოკრატიული სტრუქტურებისა და ინსტიტუტების სპონტანურად განვითარება.

(ბ) უნივერსალისტებისაგან განსხვავებით, პრეკონდიციონისტები არ ფიქრობენ, რომ დემოკრატია ყველანაირ გარემოში შეიძლება განვითარდეს.

(გ) ავტორიტარულიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლა ბევრ ისეთ ქვეყანაში განხორციელდა, რომელსაც, უნივერსალისტებისაგან განსხვავებით, პრეკონდიციონისტები მსგავსი ცვლილებისათვის მზად არ მიიჩნევდნენ.

(დ) პრეკონდიციონისტები, უნივერსალისტებისაგან განსხვავებით, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების დონესა და თანასწორობის ხარისხს დემოკრატიზაციის მნიშვნელოვან წინაპირობებად მიიჩნევდნენ.

(ე) უნივერსალისტები, პრეკონდიციონისტებისაგან განსხვავებით, მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი მუსლიმური ახლო აღმოსავლეთის ავტორიტარული რეჟიმების „განკურნების" შესაძლებლობაში.

(ა) სწორი პასუხია.

ამჯერად ჩვენ ალტერნატიული პასუხების ჩამონათვალში ერთადერთ **არამართებულ, მცდარ ვარიანტს ვეძებთ**; სხვა დანარჩენი კი ყველა მართებული უნდა იყოს ტექსტის მიხედვით. შეკითხვა მოითხოვს, სწორად შევაფასოთ განსხვავება პრეკონდიციონისტებისა და უნივერსალისტების კონცეფციებს შორის და პასუხის ვარიანტებში მცდარი კომენტარი აღმოვაჩინოთ.

(ა) ვარიანტი სწორი პასუხია, რადგან მასში წარმოდგენილი ინფორმაცია მცდარია, ის არ დასტურდება ტექსტში: პირიქით, სწორედ პრეკონდიციონისტებს <u>არ მიაჩნიათ</u> შესაძლებლად ქვეყანაში დემოკრატიული სტრუქტურებისა და ინსტიტუტების <u>სპონტანურად</u> განვითარება; ამ საპირისპირო პოზიციით განსხვავდებიან ისინი უნივერსალისტებისაგან.

(ბ) ვარიანტში წარმოდგენილი მოსაზრების **მართებულობა დასტურდება** ტექსტის II აბზაცის მიხედვით. ე. ი. (ბ) არ არის სწორი პასუხი.

(გ) ვარიანტის მოსაზრების **დადასტურება შესაძლებელია** ტექსტის III აბზაცის მიხედვით (კერძოდ, გლობალური დემოკრატიზაციის „მესამე ტალღის" შესახებ გადმოცემული ინფორმაციით). ამდენად, არც (გ) არის სწორი.

(დ) ვარიანტის მოსაზრება **მართლაც გამოთქმულია** ტექსტში; II აბზაცში ვკითხულობთ: პრეკონდიციონისტები „ყურადღებას ამახვილებდნენ სხვადასხვა ეროვნულ წინაპირობასა და ისეთი სტრუქტურული ფაქტორების მნიშვნელობაზე, როგორებიცაა: სოციო-ეკონომიკური განვითარების დონე; სოციო-ეკონომიკური განვითარების ხარისხი... ". შესაბამისად, (დ) ვერ იქნება სწორი პასუხი.

(ე) ვარიანტში წარმოდგენილი აზრის **დადასტურებაც შესაძლებელია** ტექსტის IV აბზაცის მიხედვით. ამდენად, არც (ე) არის სწორი.

21. ტექსტის მიხედვით, 11 სექტემბრის თავდასხმამ, უპირველეს ყოვლისა,

(ა) ძლიერი ბიძგი მისცა პრეკონდიციონისტების ხედვას და მათი პოზიციის განმტკიცება განაპირობა.

(ბ) დაადასტურა ის ტრაგიკული რეალობა, რომ მსოფლიოს უმეტეს ნაწილში დემოკრატიის განსავითარებლად პირობები არ არსებობს.

(გ) დემოკრატია უფრო მნიშვნელოვან საგარეო-პოლიტიკურ საკითხად აქცია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

(დ) მთელ მსოფლიოში დემოკრატიული ექსპერიმენტების შეფერხება გამოიწვია.

(ე) ავტორიტარული რეჟიმების მიმართ ერთგვარი ლოიალური დამოკიდებულება განაპირობა.

(გ) სწორი პასუხია.

ეს შეკითხვა ტექსტის ერთ-ერთი მონაკვეთის – კერძოდ, მისი IV აბზაცის – გააზრებას მოითხოვს. სწორი პასუხის გასაცემად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს შეკითხვის მოთხოვნა – ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, პირველ რიგში, ანუ **„უპირველეს ყოვლისა"** რა განაპირობა 11 სექტემბრის თავდასხმამ პასუხის ვარიანტებში ჩამოთვლილთაგან.

აღსანიშნავია, რომ ავტორი 11 სექტემბრის თავდასხმის ფაქტს მხოლოდ ერთგან – ტექსტის IV აბზაცის დასაწყის ნაწილში ახსენებს და იმავე წინადადებაში წარმოაჩენს, რომ აღნიშნული ფაქტი გამხდარა ის წინაპირობა, რომელსაც **უშუალოდ მოჰყვა ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიის, როგორც საგარეო-პოლიტიკური საკითხის, წინ წამოწევა.** შესაბამისად, (გ) ვარიანტის პასუხი სწორია, დანარჩენი – (ა), (ბ), (დ) და (ე) – ვარიანტები კი მცდარია, რადგან ტექსტის მიხედვით ვერ დავადასტურებთ, რომ მათში მოყვანილი ფაქტები 11 სექტემბრის თავდასხმის უშუალო შედეგებია.

ლოგიკური მსჯელობა

ამოცანა 22.
მოცემულია:

- თუ საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზული არ არის არცერთი კანდიდატი ან შემოხაზულია ერთზე მეტი, მაშინ ბიულეტენი ბათილია.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოცემული წინადადების **ტოლფასი?**

(ა) თუ საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, მაშინ მასში ორზე მეტი კანდიდატია შემოხაზული.
(ბ) თუ საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, მაშინ მასში შემოხაზული არ არის არცერთი კანდიდატი ან შემოხაზულია ერთზე მეტი.
(გ) თუ საარჩევნო ბიულეტენი არ არის ბათილი, მაშინ მასში ზუსტად ერთი კანდიდატია შემოხაზული.
(დ) თუ საარჩევნო ბიულეტენში არ არის შემოხაზული ერთზე მეტი კანდიდატი, მაშინ ის არ არის ბათილი.
(ე) თუ საარჩევნო ბიულეტენი არ არის ბათილი, მაშინ ის ვარგისია.

ამოხსნა:

(ა) არასწორია. დავუშვათ, ბიულეტენში არ არის შემოხაზული არცერთი კანდიდატი, მაშინ ამ პასუხში ჩამოყალიბებული წინადადების მიხედვით ბიულეტენი არ არის ბათილი, ხოლო მოცემულობაში მოყვანილი წინადადების მიხედვით ის ბათილია.

(ბ) არასწორია. ამ წინადადებაში შებრუნებულია პირობაში მოცემული წინადადების მიზეზი და შედეგი. ასეთ დროს, როგორც წესი, არ მიიღება საწყისის ტოლფასი წინადადება. მაგალითად, შესაძლოა, ბიულეტენი ბათილად ჩაითვალოს სულ სხვა მიზეზის გამო (ბიულეტენი დაზიანებულია, მასზე რაიმე დაუშვებელი წარწერებია და სხვა).

(გ) სწორია. მართლაც, რადგან *არ არის ზუსტად ერთი კანდიდატი შემოხაზული* ლოგიკურად იგივეა, რაც *არ არის არცერთი კანდიდატი შემოხაზული ან ერთზე მეტი კანდიდატია შემოხაზული*, ამიტომ ეს საწყისი წინადადების ტოლფასია.

(დ) არასწორია. არატოლფასობა აშკარაა, თუ განვიხილავთ შემთხვევას, როცა ბიულეტენში არცერთი კანდიდატი არ არის შემოხაზული.

(ე) არასწორია. ცხადია, ეს არ არის საწყისი წინადადების ტოლფასი, რადგან მასში საერთოდ არ არის ნახსენები შემოხაზული კანდიდატების რაოდენობა.

ამოცანა 23.

მოცემულია:

(1) ყველა, ვინც A ქალაქის უნივერსიტეტში ასწავლის, ცნობილი მეცნიერია.
(2) ყველა ცნობილი მეცნიერი აქვეყნებს სტატიებს სამეცნიერო ჟურნალებში.
(3) ზოგიერთი მეცნიერი B ქალაქიდან ასწავლის A ქალაქის უნივერსიტეტში.
(4) არ არსებობს მეცნიერი, რომელიც სამეცნიერო ჟურნალში სტატიას აქვეყნებს და ინგლისური არ იცის.

ჩამოთვლილთაგან რომელი **გამომდინარეობს** მოცემული წინადადებებიდან?

(ა) ყველა მეცნიერმა A ქალაქიდან იცის ინგლისური.
(ბ) ყველა მეცნიერმა იცის ინგლისური.
(გ) არსებობს მეცნიერი B ქალაქიდან, რომელმაც იცის ინგლისური.
(დ) B ქალაქის ყველა მეცნიერმა იცის ინგლისური.
(ე) A ქალაქის ყველა მცხოვრებმა იცის ინგლისური.

ამოხსნა:

(ა),(ბ) არასწორია. ყველა მეცნიერზე ინფორმაცია არ გვაქვს. შესაძლოა, არსებობდეს მეცნიერი (მათ შორის A ქალაქშიც), რომელიც არც უნივერსიტეტში ასწავლის, არც სამეცნიერო ჟურნალებში აქვეყნებს სტატიებს და ინგლისურიც არ იცის.

(გ) სწორია. განვიხილოთ ის **მეცნიერი B ქალაქიდან**, რომელიც ასწავლის A ქალაქის უნივერსიტეტში. ასეთი მეცნიერი, (3) პირობიდან გამომდინარე, **აუცილებლად არსებობს**. (1) პირობის მიხედვით, ის ცნობილი მეცნიერია. (2) პირობის მიხედვით, რადგან ის ცნობილი მეცნიერია, სტატიებს სამეცნიერო ჟურნალში აქვეყნებს. (4) პირობის მიხედვით, რადგან ის სტატიებს სამეცნიერო ჟურნალში აქვეყნებს, **მან ინგლისური იცის**.

(დ) არასწორია. B ქალაქის ყველა მეცნიერზე არ გვაქვს ინფორმაცია. იმ მეცნიერებმა, რომლებიც A ქალაქის უნივერსიტეტში არ ასწავლიან, შესაძლოა, არ იციან ინგლისური.

(ე) არასწორია. A ქალაქის ყველა მცხოვრებზე ინფორმაცია არ გვაქვს. პირობაში მოხსენებულია მხოლოდ ისინი, ვინც A ქალაქის უნივერსიტეტში ასწავლის.

ამოცანა 24.

ცნობილია, რომ რაც უფრო ნაკლებია ამა თუ იმ კულტურის მოსავალი და შესაბამისად, ნაკლებია მისი მიწოდება ბაზარზე, მით მეტია მისი ფასი. წელს ევროპაში საგრძნობლად მოიმატა ყავის ფასმა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ წელს ყავის მოსავალი საგრძნობლად შემცირებულია.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **შეასუსტებდა** ყველაზე მეტად ამ ვარაუდს?

(ა) საქონლის ფასზე გაცილებით უფრო მეტ გავლენას ახდენს მისი დეფიციტი ბაზარზე, ვიდრე ნებისმიერი სხვა ფაქტორი.
(ბ) შარშანდელთან შედარებით, წელს ევროს კურსი გამყარებულია.
(გ) ბოლო წლებში ხსნად ყავაზე მოთხოვნილება ევროპაში გაიზარდა.
(დ) ბოლო დროს ევროპული ქვეყნების უმრავლესობამ ექსპორტსა და იმპორტზე საბაჟო გადასახადები გაზარდა.
(ე) ბოლო დროს საინფორმაციო საშუალებებში გამოჩნდა ინფორმაცია ადამიანის ორგანიზმზე ყავის მავნე ზემოქმედების შესახებ.

ამოხსნა:

(ა) არასწორია. აქ ხაზგასმულია, რომ მთავარი ფაქტორი არის დეფიციტი, ხოლო რადგან დეფიციტის ერთ-ერთი მიზეზი მოსავლის შემცირებაა, ეს პირობა აძლიერებს ვარაუდს.

(ბ) არასწორია. ამ ფაქტს პირიქით, უფრო გაიაფება უნდა გამოეწვია. რადგან ევროს კურსი გამყარდა, ამიტომ მასთან შედარებით სხვა ვალუტების კურსი შესუსტდა. შესაბამისად, ევროპულ სახელმწიფოებს იმავე თანხით უფრო მეტი ყავის შეძენა შეეძლებათ.

(გ) არასწორია. ეს პირობა, მართალია, ასუსტებს მოყვანილ ვარაუდს, რადგან ფასის ზრდას მოთხოვნის ზრდით ხსნის, მაგრამ აქ საუბარია მხოლოდ ხსნად ყავაზე. რადგან (დ) პირობაში მოყვანილი არგუმენტები ყველა სახის ყავაზე მოქმედებს, ამიტომ <u>უფრო მეტად</u> ის იქნება ყველაზე შემასუსტებელი.

(დ) სწორია. იმპორტზე საბაჟო გადასახადების გაზრდა იწვევს ყველა სახის იმპორტირებული ყავის ფასების ზრდას. ეს გვაფიქრებინებს, რომ ფასების ზრდის მიზეზი მოსავლის შემცირება არ არის, რაც ასუსტებს პირობაში მოყვანილ ვარაუდს.

(ე) არასწორია. ეს გამოიწვევდა ყავაზე მოთხოვნის შემცირებას, რაც, საბოლოო ჯამში, მის გაიაფებას გამოიწვევდა.

ამოცანა 25.

მოცემულია ორი წინადადება:

(1) მეგობრებიდან – ნინო და გიორგი – ერთი მაინც იყო კინოში.
(2) მეგობრებიდან – გიორგი, ნინო და თეა – მინიმუმ ერთი არ ყოფილა კინოში.

თუ ამ ორი წინადადებიდან ერთი ჭეშმარიტია და ერთი – მცდარი, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი იქნება **აუცილებლად ჭეშმარიტი**?

(ა) ნინო და თეა ან ორივე იყო კინოში, ან არცერთი.
(ბ) თუ ნინო არ იყო კინოში, მაშინ თეა იყო კინოში.
(გ) თუ გიორგი არ იყო კინოში, მაშინ თეა იყო კინოში.
(დ) ტყუილია, რომ თეა იყო კინოში, ნინო და გიორგი კი – არა.
(ე) თუ ნინო იყო კინოში, მაშინ თეა და გიორგიც იყვნენ კინოში.

ამოხსნა:

(ა),(დ) არასწორია. კონტრმაგალითი: დავუშვათ, თეა იყო კინოში, ნინო და გიორგი - არა. (1) წინადადება იქნება მცდარი, ხოლო (2) - ჭეშმარიტი. შესაბამისად, ყველა პირობა სრულდება, ხოლო პასუხში მოყვანილი მტკიცებულებები არ არის ჭეშმარიტი.

(ბ),(გ) არასწორია. კონტრმაგალითი: დავუშვათ, არც ნინო, არც თეა და არც გიორგი არ იყვნენ კინოში. (1) წინადადება იქნება მცდარი, ხოლო (2) - ჭეშმარიტი. შესაბამისად, ყველა პირობა სრულდება, ხოლო პასუხში მოყვანილი მტკიცებულებები არ არის ჭეშმარიტი.

(ე) სწორია. დავუშვათ, **ნინო იყო კინოში**, **მაშინ** (1) პირობა ჭეშმარიტია, შესაბამისად, (2) მცდარია, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ნინოც, **გიორგიც და თეაც იყვნენ კინოში**.

ამოცანა 26.

ანო და ვანო განიხილავენ შემდეგ მსჯელობას:

- თუ ყველა A არის B, და ყველა B არის C, მაშინ ყველა C არის A.

ანო: მსჯელობა მართებულია, რადგან, როგორც პირობიდან ჩანს, ყველა C არის B, ხოლო ყველა B არის A, და შესაბამისად, ყველა C არის A.

ვანო: მსჯელობა არ არის მართებული. აი მაგალითი: თუ A-ს ნაცვლად ჩავსვამთ სიტყვას „თბილისელი“, B-ს ნაცვლად – სიტყვას „ადამიანი“, ხოლო C-ს ნაცვლად – სიტყვას „მოკვდავი“, მაშინ ამ მსჯელობის დაშვებები ჭეშმარიტი იქნება, ხოლო დასკვნად მივიღებთ, რომ „ყველა მოკვდავი თბილისელია“, რაც არ შეესაბამება სიმართლეს.

ქვემოთ ჩამოთვლილი შეფასებებიდან **რომელია ყველაზე ზუსტი**?

(ა) ანო სწორია, რადგან ის ეყრდნობა ლოგიკური კავშირების საშუალებით გადაწყვეტილების მიღებას და არა რომელიმე კონკრეტული შემთხვევის ანალიზს.
(ბ) ვანო არ არის სწორი, რადგან ის ლოგიკურ წინადადებებს არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებს.
(გ) ანო არ არის სწორი. ვანოც არ არის სწორი, რადგან ერთი კონკრეტული მაგალითი არ იძლევა ზოგადი დასკვნის გამოტანის საშუალებას.
(დ) ვანო სწორია. ანო შეცდომას უშვებს მსჯელობისას.
(ე) ანო სწორია. ვანოს მსჯელობა არასწორია, რადგან „ყველა მოკვდავი თბილისელია“ არ შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას.

ამოხსნა:

პირობაში მოცემული წინადადება მცდარია. მართლაც, თუ **ყველა A არის B, და ყველა B არის C**, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ მხოლოდ, რომ **ყველა A არის C** და არა ის, რომ *ყველა C არის A*, როგორც ეს პირობაშია. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ვანო სწორია**, ხოლო **ანო - არასწორი**. ამ უკანასკნელს აკმაყოფილებს მხოლოდ (დ).

სწორი პასუხია (დ).

ამოცანა 27.

ტომს ბრალი ედება მკვლელობაში მონაწილეობაში. საბრალდებო საქმესთან დაკავშირებით დაკითხეს მრავალი მოწმე, მათ შორის – იმ მატარებლის გამცილებელი, სადაც მკვლელობა მოხდა, და იმავე მატარებლის მგზავრი – ჯეინი.

სასამართლომ ჭეშმარიტად მიიჩნია გამოძიების მიერ დადგენილი შემდეგი დასკვნები:

(1) თუ ტომი დამნაშავეა, მაშინ ჯეინის მიერ დაკითხვისას მიცემული ჩვენება სიცრუეა.
(2) თუ სილვია მკვლელობის დროს მატარებელში იყო, მაშინ მატარებლის გამცილებლის მიერ მიცემული ჩვენება სიმართლეა.
(3) ან ჯეინის ჩვენება არის სიმართლე, ან მატარებლის გამცილებელმა იცრუა ჩვენების მიცემისას.

ჩამოთვლილთაგან რომლის ჭეშმარიტების დამტკიცება მისცემს ადვოკატ სმიტს შესაძლებლობას, დაამტკიცოს ტომის უდანაშაულობა?

(ა) თუ მატარებლის გამცილებლის ჩვენება სიცრუეა, მაშინ სილვია მკვლელობის დროს მატარებელში არ ყოფილა.
(ბ) მატარებლის გამცილებლის ჩვენება სიცრუეა.
(გ) ჯეინის მიერ დაკითხვისას მიცემული ჩვენება სიცრუეა.
(დ) სილვია მკვლელობის დროს მატარებელში იმყოფებოდა.
(ე) სილვია მკვლელობის დროს მატარებელში არ იმყოფებოდა, ხოლო მატარებლის გამცილებლის ჩვენება სიცრუეა.

ამოხსნა:

ტომი მხოლოდ (1) პირობაშია ნახსენები. ამ პირობის თანახმად კი, **თუ ჯეინის ჩვენება სიმართლეა, მაშინ ტომი უდანაშაულოა**. შესაბამისად, მსჯელობისას სასურველი შედეგი რომ მივიღოთ, აუცილებლად უნდა ვაჩვენოთ, რომ **ჯეინის ჩვენება სიმართლეა**.

(ა) არასწორია. ფაქტობრივად, ეს იგივე პირობაა, რაც (2). ის ახალ ფაქტებს არ ამატებს პირობებს და არ არის საკმარისი ტომის არც ბრალეულობის და არც უდანაშაულობის დასამტკიცებლად.

(ბ),(გ),(ე) არასწორია. თუ გამცილებლის ჩვენება სიცრუეა, მაშინ, (2)-დან გამომდინარე, სილვია მატარებელში არ იმყოფებოდა. ამავდროულად, (3)-დან გამომდინარე, ჯეინის ჩვენება სიცრუეა.

(დ) სწორია. თუ **სილვია მკვლელობის დროს მატარებელში იყო**, მაშინ (2)-დან გამომდინარე, **გამცილებლის ჩვენება სიმართლეა**. აქედან, (3)-დან გამომდინარე, **ჯეინის ჩვენება სიმართლეა**. ეს უკანასკნელი კი, როგორც ადრე ვაჩვენეთ, (1)-ის გამოყენებით ამტკიცებს, რომ **ტომი უდანაშაულოა**.

ამოცანები 28-31 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

კარნავალის დასკვნით დღეს სამბას 6 საუკეთესო სკოლის – A (*Academicos do Grande Rio*), S (*Salgueiro*), I (*Imperatriz Leopoldinense*), U (*Unidos da Tijuca*), B (*Beija-Flor*), V (*Vila Isabel*) – წარმომადგენლები ერთმანეთის მიმდევრობით გამოდიან საცეკვაოდ მაყურებლის წინაშე. თითოეული სკოლა ზუსტად ერთხელ უნდა გამოვიდეს საცეკვაოდ. ამასთან, დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

(1) სულ მცირე ორი სკოლა უნდა იყოს ისეთი, რომელიც საცეკვაოდ S-ის შემდეგ, მაგრამ I-მდე გამოვა.
(2) სულ მცირე ერთი სკოლა უნდა იყოს ისეთი, რომელიც საცეკვაოდ V-ს შემდეგ, მაგრამ A-მდე გამოვა.
(3) B პირველი, მესამე ან მეხუთე უნდა გამოვიდეს საცეკვაოდ.

ამოცანა 28.

თუ B საცეკვაოდ გამოვა უშუალოდ A-ს წინ, მაგრამ არა I-ს შემდეგ, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი სკოლა შეიძლება გამოვიდეს საცეკვაოდ მეოთხე?

(ა) A
(ბ) S
(გ) I
(დ) U
(ე) B

ამოცანა 29.

თუ S საცეკვაოდ გამოვა B-ს შემდეგ, მაგრამ უშუალოდ A-ს წინ, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი სკოლა გამოვა საცეკვაოდ მეხუთე?

(ა) A
(ბ) I
(გ) U
(დ) B
(ე) V

ამოცანა 30.

ჩამოთვლილთაგან რომელია **აუცილებლად ჭეშმარიტი**?

(ა) A საცეკვაოდ I-მდე უნდა გამოვიდეს
(ბ) B საცეკვაოდ I-მდე უნდა გამოვიდეს
(გ) V საცეკვაოდ S-მდე უნდა გამოვიდეს
(დ) S საცეკვაოდ V-მდე უნდა გამოვიდეს
(ე) S საცეკვაოდ A-მდე უნდა გამოვიდეს

ამოცანა 31.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს **მცდარი**?

(ა) თუ S საცეკვაოდ გამოვა მესამე, მაშინ U ბოლო ვერ იქნება.
(ბ) თუ A საცეკვაოდ მესამე გამოვა, მაშინ U მეოთხე იქნება.
(გ) თუ A მესამე გამოვა საცეკვაოდ, მაშინ S მეორე იქნება.
(დ) თუ B საცეკვაოდ V-მდე გამოვა, მაშინ I ბოლო იქნება.
(ე) თუ I საცეკვაოდ მეოთხე გამოვა, მაშინ V გამოვა B-მდე.

ამოხსნა:

(1) პირობიდან გამომდინარე, I ვერ იქნება პირველი, მეორე ან მესამე, ხოლო S ვერ იქნება მეოთხე, მეხუთე ან მეექვსე. (2) პირობიდან გამომდინარე, A ვერ იქნება პირველი ან მეორე, ხოლო V ვერ იქნება მეხუთე ან მეექვსე.

ამოცანა 28

რადგან V არის A-მდე, ხოლო B უშუალოდ A-ს წინაა, მივიღებთ, რომ A მინიმუმ მესამეა. აქედან გამომდინარე, რადგან S აუცილებლად პირველ სამეულშია, ამიტომ ისიც არის A-მდე. შესაბამისად, გვაქვს ოთხი სკოლისათვის გამოსვლის (S,V,B,A) ან (V,S,B,A) მიმდევრობა. რადგან I არ არის უშუალოდ B-ს წინ, ხოლო მასსა და S-ს შორის უნდა იყოს მინიმუმ ორი სკოლა, ვასკვნით, რომ I აუცილებლად A-ს შემდეგ (არა აუცილებლად უშუალოდ შემდეგ) გამოვა. თუ U არის B-მდე (ამავდროულად A-მდე), მაშინ B იქნება მეოთხე, რაც ეწინააღმდეგება (3)-ს. შესაბამისად, U არის B-ს შემდეგ (ამავდროულად A-ს შემდეგ). საბოლოო ჯამში მივიღეთ, რომ A-მდე გამოდის სამი (S,V და B), ხოლო A-ს შემდეგ გამოდის ორი (U და I) სკოლა, შესაბამისად, ის აუცილებლად მეოთხეა.

სწორი პასუხია (ა).

ამოცანა 29

რადგან V არის A-მდე, B არის S-მდე, ასევე, S უშუალოდ A-ს წინაა, მივიღებთ, რომ A მინიმუმ მეოთხეა. S-სა და I-ს შორის უნდა იყოს მინიმუმ ორი სკოლა. ერთ-ერთია A, ხოლო მეორე ვერ იქნება ვერც V და ვერც B, შესაბამისად, U არის აუცილებლად A-ს უშუალოდ შემდეგ. რადგან B ვერ იქნება მეორე, ამიტომ ის არის პირველი, ხოლო სკოლები გამოდიან შემდეგი თანამიმდევრობით: B, V, S, A, U, I. შესაბამისად, მეხუთე აუცილებლად U იქნება.

სწორი პასუხია (გ).

ამოცანა 30

(ა),(ბ),(გ) არასწორია. მაგალითად S,U,V,I,B,A.

(დ) არასწორია. მაგალითად B,V,S,A,U,I.

(ე) სწორია. როგორც უკვე ვაჩვენეთ, S მაქსიმუმ მესამეა, ხოლო A მინიმუმ მესამე. შესაბამისად, რადგან ორი სკოლა ერთდროულად ვერ გამოვა საცეკვაოდ, S აუცილებლად წინ უსწრებს A-ს.

ამოცანა 31

(ა) არასწორია. ეს წინადადება ჭეშმარიტია. მართლაც, თუ **S მესამეა**, მაშინ (1) პირობიდან გამომდინარე, I მეექვსეა. შესაბამისად, **U ვერ იქნება მეექვსე**.

(ბ),(გ) არასწორია. ეს ორივე წინადადება ჭეშმარიტია. მართლაც, **თუ A მესამეა**, მაშინ (2) პირობიდან გამომდინარე, V პირველია. რადგან უკვე ვაჩვენეთ, რომ S აუცილებლად პირველ სამეულშია, ამიტომ **S არის მეორე**. (3) პირობიდან გამომდინარე, B შეიძლება იყოს მხოლოდ მეხუთე. (1) პირობის თანახმად, საბოლოოდ გვექნება, რომ I არის მეექვსე და **U არის მეოთხე**.

(დ) სწორია. ეს შეიძლება იყოს მცდარი. მაგალითად: S,U,B,V,I,A.

(ე) არასწორია. ეს წინადადება ჭეშმარიტია. მართლაც, **თუ I მეოთხეა**, მაშინ (1) პირობიდან გამომდინარე, S პირველია. აღნიშნულიდან (2) პირობის გათვალისწინებით მივიღებთ, რომ V არის მეორე ან მესამე. რადგან B უკვე ვერ იქნება პირველი, ხოლო მესამე ის შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა V არის მეორე, მივიღებთ, რომ **V გამოვა B-მდე**.

ამოცანები 32-35 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

სასკოლო ოლიმპიადა ტარდება ექვს საგანში 8 სესიად. აქედან ხუთი სესია ეთმობა თეორიულ ტურებს **მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში**, ხოლო სამი სესია – პრაქტიკულ ტურებს **ფიზიკაში, ქიმიასა და ინფორმატიკაში**. აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

(1) ოლიმპიადის ჩასატარებლად გამოყოფილია სულ სამი დღე.
(2) თითოეული სესია მხოლოდ ერთ დღეს ტარდება და მხოლოდ ერთ ტურს მოიცავს.
(3) თითოეულ დღეს ორი სესია მაინც უნდა ჩატარდეს.
(4) დასაშვებია ერთი და იმავე საგნის თეორიული და პრაქტიკული ტურების ერთ დღეს ჩატარება.
(5) დაუშვებელია ერთსა და იმავე დღეს ორზე მეტი თეორიული ტურის ჩატარება.
(6) მათემატიკის ტური და ფიზიკის თეორიული ტური სხვადასხვა დღეს უნდა ჩატარდეს.
(7) დაუშვებელია ფიზიკის პრაქტიკული ტურისა და ქიმიის პრაქტიკული ტურის ერთსა და იმავე დღეს ჩატარება.

ამოცანა 32.

ჩამოთვლილთაგან რომელია ოლიმპიადის ჩატარების დასაშვები განრიგი?

	I დღე	II დღე	III დღე
(ა)	მათემატიკა, ბიოლოგია.	ინფორმატიკა, გეოგრაფია.	ფიზიკა (პრაქტიკული), ფიზიკა (თეორიული), ქიმია (პრაქტიკული), ქიმია (თეორიული).
(ბ)	მათემატიკა, ფიზიკა (პრაქტიკული).	ბიოლოგია, ფიზიკა (თეორიული), ქიმია (პრაქტიკული).	ქიმია (თეორიული), გეოგრაფია, ინფორმატიკა.
(გ)	ბიოლოგია, ინფორმატიკა, ფიზიკა (პრაქტიკული), ქიმია (თეორიული).	ფიზიკა (თეორიული).	მათემატიკა, გეოგრაფია, ქიმია (პრაქტიკული).
(დ)	ბიოლოგია, გეოგრაფია, ფიზიკა (თეორიული), ქიმია (თეორიული).	მათემატიკა, ქიმია (პრაქტიკული).	ინფორმატიკა, ფიზიკა (პრაქტიკული).
(ე)	მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა (თეორიული).	ბიოლოგია, ქიმია (პრაქტიკული).	ინფორმატიკა, ფიზიკა (პრაქტიკული), ქიმია (თეორიული).

ამოცანა 33.

თუ პირველ დღეს მხოლოდ გეოგრაფიისა და ინფორმატიკის ტურები ჩატარდება, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი **არ შეიძლება** იყოს ჭეშმარიტი?

(ა) მათემატიკის ტური და ფიზიკის პრაქტიკული ტური ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება.
(ბ) ბიოლოგიის ტური და ქიმიის თეორიული ტური ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება.
(გ) ფიზიკისა და ქიმიის თეორიული ტურები ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება.
(დ) ბიოლოგიის ტური და ქიმიის პრაქტიკული ტური სხვადასხვა დღეს ჩატარდება.
(ე) ფიზიკის თეორიული ტური და ქიმიის პრაქტიკული ტური სხვადასხვა დღეს ჩატარდება.

ამოცანა 34.

თუ ინფორმატიკა, ასევე, ქიმიის თეორიული და ფიზიკის პრაქტიკული ტურები ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი იქნება ***აუცილებლად ჭეშმარიტი***?

(ა) ქიმიის პრაქტიკული ტურის ჩატარების დღეს ან მათემატიკის ტური ჩატარდება, ან ფიზიკის თეორიული ტური.
(ბ) ქიმიის პრაქტიკული ტური და ფიზიკის თეორიული ტური სხვადასხვა დღეს ჩატარდება.
(გ) ერთ-ერთ დღეს ზუსტად სამი სესია ჩატარდება.
(დ) ერთ-ერთ დღეს მხოლოდ თეორიული ტურის სესიები ჩატარდება.
(ე) ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ტურები ერთ დღეს ჩატარდება.

ამოცანა 35.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

I. პირველ დღეს ორჯერ მეტი სესია ჩატარდება, ვიდრე მეორე დღეს.
II. მესამე დღეს არცერთი თეორიული ტური არ ჩატარდება.
III. ერთ-ერთ დღეს ხუთი სესია ჩატარდება.

რომელია შესაძლებელი?

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ III
(დ) მხოლოდ I და II
(ე) მხოლოდ I და III

ამოხსნა:

ამოცანა 32

(ა) არასწორია. ეწინააღმდეგება (7) პირობას.
(ბ) სწორია. აკმაყოფილებს ყველა პირობას.
(გ) არასწორია. ეწინააღმდეგება (3) პირობას.
(დ) არასწორია. ეწინააღმდეგება (5) პირობას.
(ე) არასწორია. ეწინააღმდეგება როგორც (5), ასევე (6) პირობას.

ამოცანა 33

(ა),(გ),(დ) არასწორია. სამივე შეიძლება იყოს ჭეშმარიტი. მაგალითი:

I დღე	II დღე	III დღე
გეოგრაფია, ინფორმატიკა.	მათემატიკა, ფიზიკა (პრაქტიკული), ბიოლოგია.	ფიზიკა (თეორიული), ქიმია (პრაქტიკული), ქიმია (თეორიული).

(ბ) სწორია. რადგან პირველ დღეს მხოლოდ გეოგრაფიისა და ინფორმატიკის ტურები ჩატარდება, ხოლო მათემატიკის და ფიზიკის თეორიული ტური ვერ ჩატარდება ერთსა და იმავე დღეს, გამოვა, რომ **ბიოლოგიასა და ქიმიის თეორიულ ტურებთან ერთად** იმავე დღეს უნდა ჩატარდეს ერთ-ერთი: **მათემატიკა ან ფიზიკის თეორიული ტური**. ორივე შემთხვევაში მივიღებთ, რომ იმ დღეს ჩატარდება **სამი თეორიული ტური**, რაც ეწინააღმდეგება (5)-ს.

(ე) არასწორია. ის შეიძლება იყოს ჭეშმარიტი. მაგალითი:

I დღე	II დღე	III დღე
გეოგრაფია, ინფორმატიკა.	მათემატიკა, ქიმია (პრაქტიკული), ბიოლოგია.	ფიზიკა (თეორიული), ფიზიკა (პრაქტიკული), ქიმია (თეორიული).

ამოცანა 34

(ა),(გ),(ე) არასწორია. სამივე შეიძლება იყოს მცდარი. მაგალითი:

I დღე	II დღე	III დღე
ინფორმატიკა, ქიმია (თეორიული), ფიზიკა (პრაქტიკული), მათემატიკა.	ბიოლოგია, ფიზიკა (თეორიული).	გეოგრაფია, ქიმია (პრაქტიკული).

(ბ) არასწორია. ის შეიძლება იყოს მცდარი. მაგალითი:

I დღე	II დღე	III დღე
ინფორმატიკა, ქიმია (თეორიული), ფიზიკა (პრაქტიკული).	ბიოლოგია, მათემატიკა.	გეოგრაფია, ქიმია (პრაქტიკული), ფიზიკა (თეორიული).

(დ) სწორია. რადგან გეოგრაფიის, ქიმიის თეორიული და ფიზიკის პრაქტიკული ტურები ერთ დღეს ჩატარდება, **ერთადერთი პრაქტიკული ტური**, რომელიც დანარჩენ **ორ დღეში უნდა ჩატარდეს**, არის ფიზიკის პრაქტიკული ტური. გამოვა, რომ ერთ-ერთ დღეს აუცილებლად იქნება მხოლოდ თეორიული ტურები.

ამოცანა 35

I. **შესაძლებელია**. სათანადო მაგალითი მოყვანილია წინა დავალების (ა) პასუხის განხილვისას.

II. შეუძლებელია. ეს წინადადება რომ იყოს ჭეშმარიტი, მაშინ ხუთი თეორიული ტური უნდა ჩატარდეს პირველ ორ დღეში. შესაბამისად, ერთ-ერთ დღეს უნდა ჩატარდეს სამი მათგანი, რაც ეწინააღმდეგება (5)-ს.

III. შეუძლებელია. ეს წინადადება რომ იყოს ჭეშმარიტი, მაშინ დარჩენილ ორ დღეში უნდა ჩატარდეს სულ სამი ტური. შესაბამისად, ერთ-ერთ დღეს უნდა ჩატარდეს მხოლოდ ერთი ტური, რაც ეწინააღმდეგება (3)-ს.

სწორია პასუხია (ა).

რაოდენობრივი მსჯელობა

7 ამოცანა

ამოცანა 36.

1 კგ ატამი და 2 კგ ვაშლი ერთად 5 ლარი და 90 თეთრი ღირს, ხოლო 2 კგ ატამი და 1 კგ ვაშლი ერთად ღირს 6 ლარი და 40 თეთრი. რამდენი ლარით ძვირია 2 კგ ატამი 2 კგ ვაშლზე?

(ა)	(ბ)	(გ)	(დ)	(ე)
0,85 ლარით	0,9 ლარით	1 ლარით	1,1 ლარით	1,2 ლარით

ამოხსნა

ვთქვათ, 1 კგ ატმის ფასი x ლარია, ხოლო ერთი კგ ვაშლის ფასი y ლარი. საძიებელია 2x-2y სიდიდე.

ამოცანის პირობის თანახმად მიიღება შემდეგი ორი ტოლობა:

$$x+2y=5,9$$

$$2x+y=6,4$$

მეორე ტოლობას გამოვაკლოთ პირველი ტოლობა. მივიღებთ

$$x-y=0,5$$

ტოლობას. ამ უკანასკნელი ტოლობის 2-ზე გამრავლებით კი ვპოულობთ საძიებელ სიდიდეს

$$2x-2y=1.$$

სწორი პასუხი: (გ) 1 ლარით.

ამოცანა 37.

ნიკამ ექვსი სასწავლო კურსიდან, რომელთა შორისაა მათემატიკა, ფიზიკა, პროგრამირება და სამი უცხო ენა – ინგლისური, ფრანგული და გერმანული, უნდა აირჩიოს სამი. რამდენი განსხვავებული არჩევანი აქვს ნიკას, თუ მან აუცილებლად უნდა აირჩიოს ზუსტად ერთი უცხო ენა?

(ა) 6 (ბ) 8 (გ) 9 (დ) 12 (ე) 20

ამოხსნა

პირველი სამი საგნიდან - **მათემატიკა, ფიზიკა, პროგრამირება,** ნიკამ უნდა აირჩიოს რომელიმე **ორი**. ამისათვის ნიკას სხვადასხვა არჩევანის გაკეთების სამი ვარიანტი აქვს.

მეორე სამი საგნიდან - **ინგლისური, გერმანული, ფრანგული,** ნიკამ რომელიმე **ერთი** უნდა აირჩიოს. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ნიკას სხვადასხვა არჩევანის გაკეთების სამი ვარიანტი აქვს.

პირველი სამი ვარიანტიდან თითოეულის არჩევის შემთხვევაში, ნიკას შეუძლია მეორე სამი ვარიანტიდან ნებისმიერის ამორჩევა. ამრიგად, დასახელებული 6 საგნიდან, ამოცანაში მოყვანილი მოთხოვნების დაცვით, ნიკას სამი საგნის ამორჩევის $3 \cdot 3 = 9$ განსხვავებული ვარიანტი აქვს.

სწორი პასუხი: (გ) 9 .

ამოცანა 38.

სამკერვალო ფაბრიკა მზა შარვლებს მაღაზიაში პარტიებად აბარებს. თითოეულ პარტიაში შარვლების ნახევარი მამაკაცისაა, ნახევარი – ქალის; ამასთან, ყოველ პარტიაში შარვლების 70% შავია, ხოლო 30 % – ყავისფერი. ქალის რამდენი შავი შარვალი იყო 200 შარვლისაგან დაკომპლექტებულ პარტიაში, თუ ის შეიცავდა მამაკაცის ზუსტად 15 ყავისფერ შარვალს?

(ა) 15 (ბ) 35 (გ) 45 (დ) 55 (ე) 85

ამოხსნა

ამოცანის პირობის თანახმად, შეგვიძლია, თანმიმდევრობით გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

- 200 შარვლიდან 100 მამაკაცისაა და 100 ქალის (ნახევარ-ნახევარი);
- 200 შარვლიდან 140 შავია (200-ის 70%), ხოლო დანარჩენი 60 ყავისფერი;
- რადგან ყავისფერი შარვლებიდან ზუსტად 15 მამაკაცისაა, ე.ი. დანარჩენი 60-15 = 45 ქალის ყავისფერი შარვალი ყოფილა;
- ვინაიდან ქალის შარვალი სულ 100 ცალი იყო, ამიტომ მათ შორის შავი შარვალი ყოფილა 100-45=55.

სწორი პასუხი: (დ) 55.

ამოცანა 39.

მოცემულია $ABCD$ პარალელოგრამი. $BC = AD = 4$ სმ, $AB = CD = 2$ სმ.
B წერტილზე გამავალი წრფე AD გვერდს E წერტილში კვეთს.



განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

I. ABE და EBC კუთხეები ერთმანეთის ტოლია;
II. BED კუთხე 120^0-ის ტოლია.

იმისათვის, რომ ვიპოვოთ $ABCD$ პარალელოგრამის ფართობი,

(ა) საკმარისია **I პირობა**, ხოლო II პირობა **არ არის** საკმარისი.
(ბ) საკმარისია **II პირობა**, ხოლო I პირობა **არ არის** საკმარისი.
(გ) საკმარისია I და II პირობა **ერთად**, მაგრამ ცალ-ცალკე **არც ერთი** არ არის საკმარისი.
(დ) საკმარისია **თითოეული** პირობა **ცალ-ცალკე**.
(ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, **საჭიროა დამატებითი პირობები**.

ამოხსნა

განვიხილოთ სამი შემთხვევა:
შემთხვევა 1. სრულდება I და II პირობა (იხ. ნახ.1 და 1ა).



ნახაზი 1

II პირობის ძალით, ცხადია, გვექნება $\angle AEB = 180^0 - 120^0 = 60^0$.

რადგან EBC და AEB კუთხეები შიგა ჯვარედინად მდებარე კუთხეებია, ამიტომ გვექნება $\angle EBC = \angle AEB = 60^0$.

რადგან I პირობა სრულდება, მივიღებთ, რომ $\angle ABE = 60^0$. ე.ი. სამკუთხედი ABE ტოლგვერდაა.

თუ მიღებულ მონაცემებს ნახ.1-ზე ავსახავთ და B წვეროდან $ABCD$ პარალელოგრამის BK სიმაღლეს დავუშვებთ, მივიღებთ ნახ.1ა-ს.



ნახაზი 1ა

ცხადია, რომ პარალელოგრამის BK სიმაღლე ABE წესიერი სამკუთხედის სიმაღლეცაა, რომელიც AE გვერდს შუაზე გაყოფს. ამიტომ გვექნება $AK = \frac{AE}{2} = 1$. ABK სამკუთხედისათვის პითაგორას თეორემის გამოყენებით მივიღებთ: $BK = \sqrt{2^2 - 1^2} = \sqrt{3}$ და ე.ი. $S_{ABCD} = AD \cdot BK = 4\sqrt{3}$. ამრიგად, I და II პირობა ერთად **საკმარისია** $ABCD$ პარალელოგრამის ფართობის საპოვნელად.

შემთხვევა 2. I პირობა სრულდება და II პირობა არ სრულდება.

ვთქვათ, $ABCD$ პარალელოგრამი არის მართკუთხედი, რომელშიც BE მონაკვეთი $\angle ABC$-ს შუაზე ყოფს (ნახ. 2).



ნახაზი 2

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში $ABCD$ პარალელოგრამის ფართობი $2 \cdot 4 = 8$ -ის ტოლია.

თუ ამ შემთხვევას შემთხვევა 1-ს შევადარებთ, ვნახავთ, რომ I პირობა ორივე შემთხვევაში სრულდება, თუმცა ამ ორივე შემთხვევაში პარალელოგრამის ფართობი ერთმანეთისაგან განსხვავებული სიდიდეა ($4\sqrt{3} \neq 8$).

აქედან აშკარაა, რომ მხოლოდ I პირობა ვერ უზრუნველყოფს პარალელოგრამის ფართობის ცალსახად განსაზღვრას (ადვილი შესამჩნევია, რომ ამ მაგალითში $\angle CBE = 45^0$, $\angle BED = 135^0$ და ამიტომ არ სრულდება II პირობა).

შემთხვევა 3. სრულდება II პირობა და არ სრულდება I პირობა.

ვთქვათ, $ABCD$ პარალელოგრამი მართკუთხედია, რომელშიც BE მონაკვეთი AD გვერდთან 120^0 –იან კუთხეს ადგენს (ნახ.3).



ნახაზი 3

ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიც $ABCD$ პარალელოგრამის (მართკუთხედის) ფართობი $2 \cdot 4 = 8$ -ის ტოლია.

შემთხვევა 1-თან შედარება გვარწმუნებს, რომ II პირობა ორივე შემთხვევაში სრულდება, თუმცა ამ ორივე შემთხვევაში პარალელოგრამის ფართობი ერთმანეთისაგან განსხვავებული სიდიდეა. აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ მხოლოდ II პირობა ვერ უზრუნველყოფს პარალელოგრამის ფართობის ცალსახად განსაზღვრას (ადვილი შესამჩნევია, რომ ამ მაგალითში $\angle ABE = 30^0 \neq 60^0 = \angle CBE$ ანუ არ სრულდება I პირობა).

სწორი პასუხი:

(გ) საკმარისია I და II პირობა **ერთად**, მაგრამ ცალ-ცალკე **არც ერთი** არ არის საკმარისი.

ამოცანა 40.

1 საათის განმავლობაში ველოსიპედისტი მოძრაობდა *A* პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე. ცნობილია, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე იგი არ დასცილებია *A* პუნქტს 10 კმ-ზე მეტი მანძილით. ქვემოთ მოცემული სამი - I, II და III - სურათიდან რომელზე შეიძლება იყოს გამოსახული (მსხვილი უწყვეტი წირით) ამ დროის განმავლობაში ველოსიპედისტის მიერ გავლილი *S* მანძილის *t* დროზე დამოკიდებულების გრაფიკი?



სურათი I



სურათი II



სურათი III

(ა) მხოლოდ I-ზე

(ბ) მხოლოდ II-ზე

(გ) მხოლოდ III-ზე

(დ) მხოლოდ I-ზე ან II-ზე

(ე) მხოლოდ II-ზე ან III-ზე

ამოხსნა

პირველ რიგში შევნიშნოთ, რომ ველოსიპედისტის მოძრაობისას, მის მიერ გავლილი მანძილი შეუძლებელია იკლებდეს დროის ნებისმიერ მონაკვეთში. ამდენად **შეუძლებელია,** სურათ I-ზე გამოსახული იყოს ველოსიპედისტის მიერ გავლილი *S* მანძილის *t* დროზე დამოკიდებულების გრაფიკი, რომელიც მოძრაობის პერიოდის მეორე ნახევარში კლებადი ფუნქციის გრაფიკს წარმოადგენს. მეტიც, ამ გრაფიკის მიხედვით გამოვიდოდა, რომ ველოსიპედისტმა საათის დასაწყისში გარკვეული მანძილი გაიარა, მაგრამ მთელი საათის განმავლობაში მის მიერ გავლილი მანძილი 0 კმ-ის ტოლია.

სურათი II-ზე გამოსახულია ერთი საათის განმავლობაში თანაბარი მოძრაობის გრაფიკი. რომელიც ზრდადი ფუნქციის გრაფიკია, ამიტომ ეს გრაფიკი **შეიძლება** გამოსახავდეს ველოსიპედისტის მიერ გავლილი *S* მანძილის *t* დროზე დამოკიდებულების გრაფიკს.

შევნიშნოთ, რომ წინადადება: „ველოსიპედისტი არ დასცილებია *A* პუნქტს 10 კმ-ზე მეტი მანძილით", სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ველოსიპედისტს არ გაუვლია 10 კმ-ზე მეტი მანძილი. მაგალითად, მას შეეძლო ემოძრავა *A* წერტილის გარშემო 5 კმ რადიუსიან წრეწირზე და 1 სთ-ის განმავლობაში გაევლო როგორც 10 კმ-ზე ნაკლები, ისე 10 კმ-ზე მეტი მანძილი. ვინაიდან *S* ველოსიპედისტის მიერ გავლილ მანძილს გამოსახავს, ამიტომ შესაძლებელია, $S > 10$ უტოლობა სამართლიანი იყოს. ამიტომ III სურათზე **შეიძლება** იყოს გამოსახული ველოსიპედისტის მიერ გავლილი *S* მანძილის *t* დროზე დამოკიდებულების გრაფიკი.

ამ მსჯელობიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ

სწორი პასუხი: (ე) მხოლოდ II-ზე ან III-ზე.

ამოცანა 41.

მოცემულია საერთო ცენტრის მქონე კვადრატის, წრისა და ამ წრის შემომსაზღვრელი წრეწირის შესახებ გამოთქმული წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი (კვადრატის ცენტრი მისი დიაგონალების გადაკვეთის წერტილია):

“თუ ----------, მაშინ ----------”.

ქვემოთ მოცემული სამი (1), (2) და (3) ფრაგმენტიდან აარჩიეთ ორი და ჩასვით ისინი გამოტოვებულ ადგილებში ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

(1) წრეწირი კვადრატის გვერდებს რვა წერტილში კვეთს
(2) კვადრატის ფართობი წრის ფართობის ტოლია
(3) კვადრატის პერიმეტრი ნაკლებია წრეწირის სიგრძეზე

(ა)	(ბ)	(გ)	(დ)	(ე)	(ვ)
$(1)\to(2)$	$(2)\to(1)$	$(1)\to(3)$	$(3)\to(1)$	$(2)\to(3)$	$(3)\to(2)$

I ამოხსნა

ნახ.1–ნახ.5-ზე მოცემულია საერთო ცენტრის მქონე კვადრატისა და წრეწირის ურთიერთმდებარეობის ხუთი განსხვავებული შემთხვევა:



ნახ.1 ნახ. 2 ნახ.3



ნახ.4 ნახ.5

ნახ.1- წრეწირი მთლიანად მოთავსებულია კვადრატში;

ნახ.2- წრეწირი კვადრატის ოთხივე გვერდს ეხება;

ნახ.3- წრეწირი კვეთს კვადრატის თითოეულ გვერდს ორ წეტილში;

ნახ.4- წრეწირი კვადრატის ოთხივე წვეროზე გადის ;

ნახ.5- კვადრატი მთლიანად მოთავსებულია წრეწირით შემოსაზღვრულ არეში.

ცხადია, რომ სხვა შემთხვევა არ არსებობს. შემთხვევა 1 და 2-ში კვადრატის ფართობი მეტია წრის ფართობზე. შემთხვევა 4 და 5-ში კი წრის ფართობია მეტი კვადრატის ფართობზე. ამიტომ ამ ფართობების ტოლობა შესაძლებელია მხოლოდ შემთხვევა 3-ში. ამ შემთხვევაში კი ცხადია, რომ წრეწირი კვადრატის გვერდებს რვა წერტილში კვეთს. ამრიგად, სწორი პასუხია (ბ).

II ამოხსნა

ცხადია, რომ ამოცანის პასუხი არაა დამოკიდებული კვადრატისა და წრეწირის ზომებზე. ამიტომ, სიმარტივისთვის, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ **კვადრატის გვერდი 1 ერთეულის ტოლია** და მხოლოდ წრეწირის რადიუსია ცვლადი სიდიდე. აღვნიშნოთ ეს რადიუსი r-ით.

ადვილი შესამჩნევია, რომ (1), (2) და (3) წინადადებებიდან თითოეული ტოლფასია გარკვეული მათემატიკური თანაფარდობის, კერძოდ:

$$(1) \quad \Leftrightarrow \quad \frac{1}{2} < r < \frac{\sqrt{2}}{2};$$
$$(2) \quad \Leftrightarrow \quad r = \frac{1}{\sqrt{\pi}};$$
$$(3) \quad \Leftrightarrow \quad \frac{2}{\pi} < r.$$

ადვილი დასამტკიცებელია, რომ ჭეშმარიტია $\frac{1}{2} < \frac{1}{\sqrt{\pi}} < \frac{2}{\pi} < \frac{\sqrt{2}}{2}$ უტოლობებები.

(ა) არასწორია. მაგალითად, თუ $r = \frac{2}{3}$, მაშინ (1) სრულდება, ხოლო (2)-არა.

(ბ) სწორია. მართლაც, $\frac{1}{2} < \frac{1}{\sqrt{\pi}} < \frac{\sqrt{2}}{2}$.

(გ) არასწორია. მაგალითად, თუ $\frac{1}{2} < r < \frac{2}{\pi}$, მაშინ (1) სრულდება, ხოლო (3)-არა.

(დ) არასწორია. მაგალითად, თუ $r = 1$, მაშინ (3) სრულდება, ხოლო (1)-არა.

(ე) არასწორია. თუ $r = \frac{1}{\sqrt{\pi}}$, მაშინ არ შესრულდება $\frac{2}{\pi} < r$.

(ვ) არასწორია. თუ $\frac{2}{\pi} < r$, მაშინ არ შესრულდება $r = \frac{1}{\sqrt{\pi}}$.

სწორი პასუხი: (ბ) $(2) \rightarrow (1)$.

ამოცანა 42.

მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ხის მასიური სხეულიდან (ნახ. 1) ამოჭრეს მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ნაწილი (ნახ. 2), რის შედეგადაც მიიღეს მე-3 ნახაზზე გამოსახული სხეული. ცნობილია, რომ:

(1) 1 ნახაზზე გამოსახული მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის სხეულის სრულად და ერთგვაროვნად შესაღებად საჭიროა ზუსტად იმდენი გრამი საღებავი, რამდენი გრამიცაა საჭირო მე-3 ნახაზზე გამოსახული სხეულის ამგვარადვე შესაღებად.



ნახაზი 1



ნახაზი 2



ნახაზი 3

(2) მე-2 ნახაზზე გამოსახული ამოჭრილი სხეულის D წახნაგი კვადრატია.

ქვემოთ მოცემული ოთხი - I, II, III და IV - პირობიდან რომელი ორის ცოდნაა საკმარისი მე-2 ნახაზზე ნაჩვენები სხეულის მოცულობის გასაგებად?

I. 1 ნახაზზე ნაჩვენები სხეულის მოცულობა 16 სმ^3-ია.
II. 1 ნახაზზე ნაჩვენები სხეულის A წახნაგის ფართობი 16 სმ^2-ია.
III. 1 ნახაზზე ნაჩვენები სხეულის B წახნაგის ფართობი 4 სმ^2-ია.
IV. 1 ნახაზზე ნაჩვენები სხეულის C წახნაგის ფართობი 4 სმ^2-ია.

(ა)	(ბ)	(გ)	(დ)	(ე)	(ვ)
I და II	I და III	I და IV	II და III	II და IV	III და IV

ამოხსნა



ნახაზი 4

აღვნიშნოთ ამოჭრის შედეგად მიღებული მართკუთხა პარალელეპიპედის წვეროები K,L,M,N,O,P,Q-ით, D კვადრატის გვერდი – x-ით, ხოლო D წახნაგის პერპენდიკულარული წიბოს სიგრძე კი – l -ით (იხ. ნახ.4).

ამოცანის პირობის (1) წინადადებიდან გამომდინარეობს, რომ ამოჭრის შედეგად მიღებული მართკუთხა პარალელეპიპედის D წახნაგის და მისი მოპირდაპირე წახნაგის ფართობთა ჯამი ამავე პარალელეპიპედის დანარჩენი წახნაგების ფართობთა ჯამის ტოლია. ანუ D -ს ფართობი KLMN და MNPQ პარალელოგრამების ფართობთა ჯამია. ე.ი. $x^2=2\cdot x\cdot l$. საიდანაც (რადგანაც $x \neq 0$) ვასკვნით, რომ ჭეშმარიტია ტოლობა

$$x = 2\cdot l.$$

აქედან კი გამომდინარეობს, რომ ამოჭრილი პარალელეპიპედის V_0 მოცულობა ტოლი იქნება $V_0 = x^2\cdot l = (2\cdot l)^2\cdot l$, ე. ი.,

$$\mathbf{V_0 = 4\cdot l^3} \qquad (*)$$

ანუ თუ საერთოდ შესაძლებელია სათანადო პარალელეპიპედის ამოჭრა, მაშინ ამ უკანასკნელის მოცულობა მხოლოდ თავიდან მოცემული ფიგურის l სიგანეზე იქნება დამოკიდებული და (*) ტოლობით განისაზღვრება.

პასუხი (ა) I და II, სწორია.

მართლაც, ვთქვათ, შესრულებულია I და II პირობა. ვინაიდან დიდი პარალელეპიპედის მოცულობა ტოლია $V = 16$ სმ^3-ის (I პირობა), $S_A = 16$ სმ^2-ის (II პირობა) და ამავე დროს $V=S_A\cdot l$, მივიღებთ, რომ $l = 1$ სმ-ს. მაშასადამე (*) ტოლობის ძალით გვექნება $V_0 = 4\cdot 1 = 4$ სმ^3-ს.



ნახაზი 5

შენიშვნა: სანამ სხვა პასუხების განხილვაზე გადავიდოდეთ, შევნიშნოთ, რომ დიდი პარალელეპიპედიდან მცირე პარალელეპიპედის ისე ამოჭრა, რომ ამოცანის პირობის (1) წინადადება შესრულდეს, შესაძლებელი იქნება მაშინ და

მხოლოდ მაშინ, როცა A მართკუთხედის თითოეული გვერდის სიგრძე მეტი იქნება $2 \cdot l$ სიდიდეზე (იხ. ნახ.5). ანუ, როცა შესრულდება პირობა:

$$\mathbf{min\{}a,b\} > 2l \qquad (**)$$

პასუხი (ბ) I და III, არასწორია.

მართლაც, ავიღოთ ორი მართკუთხა პარალელეპიპედი, რომელთაგან პირველის ზომებია: **სიგრძე 8 სმ, სიგანე 0,5 სმ და სიმაღლე 4 სმ**; ხოლო მეორეს ზომები არის: **სიგრძე 16 სმ, სიგანე 0,25 სმ და სიმაღლე 4 სმ**. ადვილი შესამოწმებელია, რომ ამ ორი ფიგურისათვის სრულდება როგორც I ისე III პირობა და სრულდება ასევე (**) პირობაც. თუმცა, რადგან პარალელეპიპედების სიგანეები ერთმანეთისაგან განსხვავებულია ($0,5 \neq 0,25$), ამიტომ (**) პირობის გამო, ამ ფიგურებიდან ამოჭრილი მართკუთხა პარალელეპიპედების მოცულობებიც ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება.

ამრიგად, I და III პირობების შესრულება საკმარისი არ არის თავიდან მოცემული მართკუთხა პარალელეპიპედიდან ამოჭრილი პარალელეპიპედის მოცულობის ცალსახად დასადგენად.

პასუხი (გ) I და IV, არასწორია.

ამ შემთხვევაში საკმარისია განვიხილოთ ორი მართკუთხა პარალელეპიპედი, რომელთაგან პირველის ზომებია: **სიგრძე 4 სმ, სიგანე 1 სმ და სიმაღლე 4 სმ;** ხოლო მეორეს ზომები არის: **სიგრძე 4 სმ, სიგანე 0,25 სმ და სიმაღლე 16 სმ**. ადვილი შესამოწმებელია, რომ ამ ორი ფიგურისთვისაც სრულდება როგორც I და IV პირობა, ისე (**) პირობა. თუმცა, მათი სიგანეები ერთმანეთისაგან განსხვავებულია და ამიტომ ამ ფიგურებიდან ამოჭრილი მართკუთხა პარალელეპიპედების მოცულობებიც ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება.

ამრიგად, I და IV პირობების შესრულება საკმარისი არ არის თავიდან მოცემული მართკუთხა პარალელეპიპედიდან ამოჭრილი პარალელეპიპედის მოცულობის ცალსახად დასადგენად.

პასუხი (დ) II და III, არასწორია.

ამის დასასაბუთებლად საკმარისია განვიხილოთ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სიგანის მქონე მართკუთხა პარალელეპიპედი, რომელთაგან პირველის ზომებია: **სიგრძე 8 სმ, სიგანე 0,5 სმ და სიმაღლე 2 სმ**; ხოლო მეორეს ზომები არის: **სიგრძე 4 სმ, სიგანე 1 სმ და სიმაღლე 4 სმ**.

პასუხი (ე) II და IV, არასწორია.

ამის დასამტკიცებლად საკმარისია განვიხილოთ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სიგანის მართკუთხა პარალელეპიპედი, რომელთაგან პირველის ზომებია: **სიგრძე 2 სმ , სიგანე 0,5 სმ და სიმაღლე 8 სმ**; ხოლო მეორეს ზომები არის: **სიგრძე 4 სმ, სიგანე 1 სმ და სიმაღლე 4 სმ**.

პასუხი (ვ) III და IV, არასწორია.

ამის დასასაბუთებლად საკმარისია განვიხილოთ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სიგანის მართკუთხა პარალელეპიპედი, რომელთაგან პირველის ზომებია: **სიგრძე 4 სმ, სიგანე 1 სმ და სიმაღლე 4 სმ**; ხოლო მეორეს ზომები **არის: სიგრძე 8 სმ, სიგანე 0,5 სმ და სიმაღლე 8 სმ.**

სწორი პასუხი: (ა) I და II.